

ვის ცხოვრებისას და გვეგობრობდით... სიმართლეს, — იცნობს და ამიტომ შიში არა გვაქვს, რომ მის მემკვიდრეს დასწამონ აღებულ გეზისა შეცვლა.

მართალია, „კლდის“ გამოვლენასთანვე გავიჩინდნენ დარაზულნი მტერნი და მათი რაზმიც ისევე იზრდებოდა, როგორც ჩვენი მომხრეებისა, მართალია ისიც, რომ არც „საქართველოს“ მოაკლდებიან, მაგრამ ეს არ გვაშინებს, ვინაიდან ჩვენს ეკლიან გზას ვარდნი რწმენისანი ალამაზებენ.

ეს იდეა ჩვენ არ გვეშინის იმ, როგორც განყენებული სატრფიალო საგანი, რომელზედაც ოცნებობს მოცლილი ხალხი თავთავიანთ კუნძულში, არამედ როგორც ცხოველყოფელი, რეალური კანდელო, რომლის საშენებელი მასალა ყოველმა ქართველმა უნდა აზიდოს მთაზედა.

მაშ ერთად დავიწყეთ და ვასაც თსავარს თვისი საქმეობით, თსავარს ცოტახალი სიყვარულითა, იმედიანად და ნურც პატარა, ნურც სულ მცირე საქმესა, რადგან არაფერი, მისთვის გაკეთებული, ტყუილ-უბრალოდ არ იკარგება.

დეკრუტები

პატრონაჰადი. 22 მაისი. მთავარი შტაბის მოხსენება. შავლის რაიონში 20 და 21 მაისს მცირე და უშედეგო შეტაკება ხდებოდა. ბობრზე მტერმა მძიმე არტილერია დაუშინა ოსოვეცხ. ნარევისა და ვისლის მარცხენა ნაპირზე ცვლილება არ მოხდა. გალიაში, სანის მარცხენა ნაპირზე, ვისლოკის შესართავთან, ჩვენ გავიმარჯვეთ. სოფელ ნოვოსელეთთან, რუდნიკის დასავლეთით, ჩვენ ფხვდაფხვს ვსძლიეთ მტრის ჯარებს. სანის მარჯვენა ნაპირზე, მდ. ვიშნას ხეობაში, მტერი განავრცობს იერიშებს. ბრძოლა ჯერ არ დათავებულა. პერემიშლისა და დნესტრის შუა, კრუშნიცას რაიონში, მტერი ხელახლიდ დიდი ზარალით უკუ ვავადეთ. მდინარე ტისმენიცისა და სტრისის შუა თან ვაკავებდით მტრის რაზმებს და თან დნესტრის ხიდებთან გამაგრებულ პოზიციებისკენ ვიხევდით. 21 მაისს მტერი შეეცადა ამ გამაგრებულ პოზიციებზე შემოჭრას, მხარ და მხარ მოხდევდა ჩვენს ჯარს, მაგრამ მალე უკუ ვავადეთ. მარტო წინა თხრილების პირას მოკლულ გერმანელთა გვამების ხროვა დადგა. კონტრიერიშების დროს ჩვენ წამოვიყვანეთ 700 კაცი 17 აფიცირითურთ და ხელთ ვივადეთ რამდენიმე ტყვიის მტყორცნელი.

22 მაისი. „არმ. ვეს.“ იუწყება: 20 მაისს, პერემიშლის სამხრეთ-აღმოსავლეთით გერმანელთა მკაცრი იერიში მოგერებულ იქმნა. მეზო-ლაბოჩის მიმართულებით ჩვენ წინ წავიწიეთ. ღამით 19 მაისს, ჩვენმა ჯარმა დაიჭრა კალნითუის თხრი-

ლები და ტყვედ წამოაყენა 22 აფიცირი და 1,200 ჯარისკაცი. დავლად სასტიკი ომის შემდეგ რუსის ჯარმა აიღო სოფელი ბუჩინი. 19 მაისს გერმანელებმა ქარიშხალით დააყარეს ყუმბარები ჩვენს ჯარს, მაგრამ მათი იერიშები მოგერებულ იქმნა. სტრისის მიმართულებით მრავალადგილას მოადა უსასტაქეა შეტაკება. ბევრ ადგილას მტერი უკუქვეულ იქმნა. ბენთაიდისას, 20 მაისს, რუსის ჯარი ეკვეთა ლენჩიკის გამაგრებულ რაიონს და დაიკავა „მარლის ქარხანა“. ასევე გადალახეს პრუტის მეორე ნაპირი და გერმანელები სდევნეს ტროსტიანკასა და მენტოვციკს.

ბოკო. 21 მაისი. უპარტოთა წერილობით შეკითხვაზე გარეშე საქმეთა მინისტრმა უპასუხა, რომ მთავრობას სურდა ჩინეთთან მშვიდობიანად დათავებინა მოლაპარაკება და ამიტომ დასთმო ზოგი რამ. ჩინეთმა არავითარი გარანტია არ მოგვცა, რომ გერმანელებს ცნდაოს მაგიერად ახალ ბაზას არ გაუწინდნენ.

სოლუნი. 21 მაისი. სტამბოლიდან იუწყებიან: ინგლისელთა წყალქვეშა თამამად თარეშობს ბოსფორში გერმანიის მიერ დაპლუბა კონტრანდონისანი „პედენგილირია“. მისი ეკიპაჟი გადაჩა. შემდეგ წყალქვეშა ვაგებრთა სარაიბურნისაკენ, სადაც ორი ნაღმი ესროლა გერმანელთა ხომალდს „სტამბულ“. ხომალდმა მოასწრო უშეშარ ადგილას გადასვლა.

ატიწა. 20 მაისი. გელოსის კონცხთან მოკავშირეთა გემებმა დალუპეს გერმანელთა წყალქვეშა.

ლონდონი. 22 მაისი. ოფიციალური ცნობა. 18 მაისს ინგლისელებმა საზღვაო და ხმელეთის ჯართა შეთანხმებით იერიში მიიტანეს კურნას ჩრდილოეთით ოსმალთა პოზიციებზე. მათი არტილერია ჩააფუშეს. ოსმალნი გაიქცნენ. დავლად დასტოვეს 3 ხარბაზანი და 250 ტყვე.

ლონდონი. 21 მაისი. სადემირალო იუწყება, ბრიტანიის წყალქვეშაში, რომელიც მარმარილოს ზღვაში მოქმედობს, გერმანიის დიდი ტრანსპორტი ჩასძირაო ტანდერის ყურეში.

სოლუნი. 20 მაისი. მიტილენიდან იტყობინებინ: ვალაოლიის ნახევარ კუნძულზე დიდის სიხარით იბრძვიან; ორთავე მხარეს დიდი ზარალი მოსდის.

23 მაისი რამი. საბჭოთა მხარე მათი მოკავშირეთა ფლოტი ხარბაზნებს ესროდა და რადიანლის სიმაგრეს, სიმაგრეიდანაც უპასუხებდნენ.

რამი. 21 მაისი. ოფიციალური ცნობა. დახვერიდან დაბრუნებული გემების აფირები მოგვიხიბობენ. პორტო ბუხოდან 19 მაისს მოსჩანდა დიდი სვეტი კვალი-სა და ცეცხლის აღი, რომელიც ასდრიდა მონფალკონესა. მონფალკეს ხარბაზნები დაუშინეს ჩვენმა ნაღმონებმა 28 მაისს.

პარიზი. 21 მაისი. საღამოს ოფიციალური ცნობა. არსებითი არაფერი მომხდარა გარდა იმისა, რომ ჩვენმა ჯარებმა წინ წაიწიეს ლაბირინტად წოდებულ მიდამოებში, რომელიც ნეველ-სენ ფასტიდან სამხრეთ აღმოსავლეთით მდებარეობს.

ბოკო. 21 მაისი. პარლამენტის მიერ მიღებულ კანონპროექტის თანახმად, რომელიც შეეხებოდა კორეაში ორი ახალი დივიზიის შექმნას. მათ შედგენას შეუდგებიან 1915 წლის და დამატებებზე 1921 წ. შემო პალატაში სამხედრო მინისტრმა განაცხადა, ამ მახლობელ დღეებში წარმოდგენილი იქნება, თანახმად 1907 წლის გეგმისა, ახალი კანონპროექტი სამი ახალი დივიზიის შედგენის შესახებო, რათა ჯარის კომპლექტი 25 დივიზიამდე ავიდესო. ხმები დადის, რომ ოთხი ახალი დივიზია დაბანაკებული იქნება მანჯურისას, ფორმოზასა და ხოკაიდოში.

მანჩესტერი. 22 მაისი. მექარხნეთა და მუშათა წარმომადგენლების მიტინგზე, ლიოდ-ჟორჯმა თავის სიტყვაში ის აზრი გაატარა, რომ ომის დამთავრება ყველაზე უფრო დამოკიდებულია მექარხნებსა და მუშებზე. გერმანელების მოძრაობა და წინ სვლა პირდაპირი შედეგია იმ საოცარ სისწრაფისა, რომლითაც ჯარს აწვდიან სამხედრო სურსათს. გერმანიის სამხედრო უპირატესობა შედეგია გერმანიისკენ ქარხნების სამაგალითო ორგანიზაციისა; ერთი საათის განმავლობაში, გერმანია 200,000 ყუმბარით გაუმასხინებდა რუსეთის დიდ-

ბულ ჯარს. ჩვენც რომ შევედღოს ისე გაუმასხინებლად გერმანიას, ადვილად ვავადენილი მის საფრანგეთიდან და შევიკრებოდით თვით გერმანიაში. დღეს მეომარი უფრო მეტა ვიდრე სამხედრო მასალა, მაშასადამე აუკლებლად საჭიროა ქარხნებმა დავეიზნადონ ეს მასალა რომ ჩვენ შევძლოთ მოპირდაპირას ბანაკში შეჭრა.

ფრანგების ესლანდელი გამაგრება შეიძლება მივაწეროთ საფრანგეთის კერძო ქარხნების მუშაობას. ბოლოს ლოდ ჯორჯმა გამოსთქა რწმენა, რომ ის, რაც შესძლეს ფრანგთა ინჟინერებმა, შესძლებენ ბრიტანიელთა ინჟინერებიც.

ატიწა 21 მაისი. მექუს დღეობა დიდის ზემით იქმნა გადახდალა. ავადმყოფ მექუს უკეთესობა ეტუობა.

ტრისტისკენ მიმავალ ბერძინების დეტრიბული გემი საღურავს მახლობლად ნაღმს წააწყდა და ჩაიძირა. მეზღვაურნი გადაარჩინეს გარდა ორისა.

პარიზი. 21 მაისი. ომის დაწყებიდან პარლამენტის დადგენილებით გაუღათა 24 მილიარდის კრედიტი. ფინანსთა მინისტრს შეუტანია ასალი კანონ-პროექტი დროებით 5 მილიარდ, 600 მილიონიან სესხის ასაღებად.

ლონდონი. გაზეთი „ტაიმსი“ თავის მეთაურში რომელსაც ჰქვია „რუსეთის განსაღვლა“, შეეხო პერემიშლის აღებას ავსტრო-გერმანიის ჯარების მიერ. იგი, სხვათა შორის, ამბობს, თუ რომ ეს მართალია, ჩვენი მოკავშირენი არც ისეთი ხალხია, რომ გულს ხელი დაიკრიფონ და იგავლანთ მომხდარ მარცხის აუტილებლობის შესახებ. პირიქით მათი პირველი საქმე ის იქნება, რომ მტრის იარაღს დაუბრუნებონ მტკიცე და შემუშუდებული ამბები გაძალანებთ, რაიცა არა ერთხელ გამოაჩინეს, ასეთაზ სიმტკიცით, ომის დაწყებამ პირველ დღეებიდან.

რუსის სპათა მთავარი სარდლობა ომის კამპანიას ითვლისწინებს მის მთლიან მიმდინარეობის ინტერესისა და მიზნის თვალსაზრისით და გულდამშვიდებით შექმლეს ამ მარცხის გამოსწორებას: თუ იგი მართლა მოხდა.

რუსის ჯარის გენერალური შტაბის სულა ისეთავე, როგორაც თვით რუსის ხალხისა. რუსეთის ახალმა მარკებმა ჩვენში უნდა აღქმას სიმპატია რუს მოკავშირეებისადმი; იგი მარტო უნდა უფრო ნათლად გვეუწყებოდ, კიდევ წინაა, რომ მათი საქმე—ჩვენი საქმეა და მოვალენი ვართ ამ საერთო საქმეში შევექმნათ ერთხელ ძალთა ისეთი ორგანიზაცია, რომელიც შევადგინებდეს, მიუხედავად დროებითი მარცხისა, მედვარე წინსვლას, გულში საბოლოო გამარჯვების სრული იმედით.

თიერანი. 22 მაისი. თიერანში სიწყნარე მყარდება. სჩანს, გერმანიის მისიამ გერმანიის მდგომარეობა იმ ზონამდე ვერაფრებინა, რომ რუსეთისა და ინგლისის ყურადღება ძალაუფლებურად ბრძოლის ახალ ველისაკენ წაეტყუა. ამიტომაც თანდათან სცხრება გერმანელ ავენტების სპაროგოკალი საქმიანობა. მეორეს მხრით, ურმიასა და ვანის რაიონში ჩვენი ჯარის შეჭრის გამო, ოსმალეთს სპაროგოგანდო ნიდაგი ფხვიდან გამოეცალა, ერთხელ კიდევ ცხადი ვახდა სპარსელებისათვის დეზორგანიზაცია ოსმალთა ჯარისა, რომელსაც რუსები უნდა გამოიყენენ სპარსეთისა და კავკასიის საზღვრებიდან.

ბენდერ-ბუმიდან ინგლისის მისიამ მიიღო სასურველი ცნობები: გერმანიის ხანგრძლივ ავტაცის ვერაფერი ნაყოფი გამოუღია სამხრეთ სპარსეთში, რომელიც თანდათან მშვიდდება, თურმე. მუშაობენ იმ ნავთ-სადენის შესაკეთებლად, რომელიც ახვანასა და მოქამერას შორის იყო გაყვანილი და ოსმალთაგან თავის დროზედ გაუფუჭებული. ასეთი ვითარების წყალობით, ინგლისმა კვლავ შესძლო თავისი ჯარები ნეგოსოტაციისაკენ გავზავნა, ეტუობა, ოსმალებს არ ძალუთთ გამკლავება და თავიანთ ძალებს ბაღდადში აგროვებენ.

ქურნალ-გაზეთიგიდან

ბელგის ანექსიის გამოცხადება. გერმანიამ შეუთვალა ბელგის მთავრობას, სეპარატიული ზავი შეეკრათო. ეს წინდადება უარყოფილ იქმნა ბელგის მთავრობის მიერ. რაჟი მორიგება შეუძლებელი იყო, ვილჰელმმა მთელს ბელგიაში გამოაქვეყნა თავის ბრძანება, ამიერიდან მეფე ალბერტის ქვეყანას გერმანიის ვეურთებო. საქმე იქამდე მისულა, რომ ვილჰელმი ბელგის ორდენებს არიგებს, როგორც გერმანიის საკუთარ ნიშნებს. (ბ. ვ.).

როკვედლის კომისია ბერლინიში. ამერიკელ მილიარდელმა როკვედერმა ბერლინიში შეამავალნი ვაგზავნა, დაპყრობილ პოლონეთის დასახმარებლად განსაკუთრებული კომისია დაეარსებინათ. ეს თხოვნა შეწყნარებულ იქმნა. კომისიის მოქმედება დახარალებულ მცხოვრებთა დასახმარებლად პურა, კორტაული. იქ, სადაც ბრძოლა არ მოხდარა, ენერგიულად ამუშავებენ მინდვრებს. მოსავლს კარგი პირა უჩანს. დიდად დახარალებენ დიდი მემამულენი. იქ, სადაც ცხენების რეკვიზიცია მოახდინეს, მუშაობა მეტად ძნელდება.

კალიზის გარდაქმნა. გერმანელთა მიერ დიდი ხნის დაპყრობილი ქალაქი კალიზი, იქიდან გამოქვეყნდა სიტყვით, გერმანელთა ლაშქარის მსხლით დასაპყრო ცენტრად გარდაიქცა. ქუჩები დაასუფუთეს. ცხოვრება სდგოს. გამოდის რამდენიმე ქურნალ-ვაზეთი. ქარხნებმა განახლეს მუშაობა. მცხოვრებთა მეტად თავზიანად ეპყრობიან და უფლებას აძლევენ ქალაქ გარედ გასვლას, ლოძმადე მისვლა-მოსვლას.

გერმანელები ლიბავიაში. ვაზ. „ნოვ. ვრ.“-ს ცნობით გერმანელები ლიბავიაში აგროვებენ ახალგაზრდობას თავისი ჯარების შესავსებად. ვინც ასეთ ბევრაზნედ ურას აცხადებს, გერმანიის ხაზინაში. ქალქს უკვე 500,000 მანეთი ჰგზავნი. ლიბავიას არემარეს ამაგრებენ ინჟინერ დერენტალის გეგმით. დერენტალი ბოლინის საინჟინერო აკადემიის პროფესორია.

ფონ-ვედელი უშინიაში. პარიზის გაზეთები იუწყებიან, რომ იმპერატორმა ვილჰელმმა გენერალი ფონ-ვედელი რუმინიაში გზავნა განსაკუთრებულის დავალებით ვედელმა უნდა მოახერხოს როგორმე რომ ავსტრიამ დაუთმოს რამე რუმინსა, თუ იგი ომში ჩაერყვა და რუსეთის წინააღმდეგ გაილაშქრებს (კ. ს.).

ბალკანეთის ჩარევა. „კ. ს.“-ს დეკემბრით იუყობინებენ, რომ ბულგარეთის უნიკარის დიპლომატი ელჩად გაიგზავნა გერმანიაში. ეს ამბავი მაინანთ ნიშნად ბალკანელ სახელმწიფოთაგან ომში ჩარევის.

საზავთროდ მადუბა. გერმანიის მთავარმა შტაბმა ბრძანება გასცა, რათა მოზავი ზამთრისათვის საზავისის შეუდგენენ გარისათვის საჭირო მასალის დაზრდა დაიწყოს, უკვე შეუკვეთეს აუარებელი ტყავეულობა, ქურჭები, საქურჯო მასალა და გამამაზი ცურა. (დ.)

ავსტრო-გერმანელთა ჯარის მთავარ-სარდლები. ავსტრო-გერმანელთა მთავარსარდლებად იტალიის ფრონტზე გაზეთებმა ჯერ დაასახელეს გენერალი ჰინდენბურგი, რომელიც ავერ ორი თვეა არა სჩანს არც რუსეთისა და არც საფრანგეთის ფრონტზე. ეხლა იუწყებიან, რომ მთავარსარდლად დანიშნულია ავსტრიელი გენერალი კონრად ფონ-გეტცენდორფი, გამგე ავსტრიის მთავარ შტაბისა, ხოლო მის თანაშემწეებლად დანიშნულ არიან გერმანელი გენერალი მოლტკე, რომელიც ომამდე განავებდა გერმანიის მთავარ შტაბს, და ავსტრიელი გენერალი დანკელი, რომელიც აქამდე მთავარსარდლი იყო რუსეთის ფრონტზე ერთ-ერთ არმიისა.

ყუმბარა. ეირარდოვში გერმანელთა ჰეროპოლიდან ყუმბარა ჩამოავდეს, რომელიც კინემატოგრაფს დაეცა სეანის დროს. მოკლულია 7, დაჭრილია 23 კაცი (კ.).

ცეპელინები. გაზეთ „დელი-ნიუს“ ატყობინებენ როტერდამიდან, რომ გერმანელები ეზხადებინან ცეპელინებით ხელახლად თავებ დავსენ ლონდონისაო. თავდასხმას მოელიან მომავალ კვირას, ანტვრპენიდან, ბრიუსელიდან და გენტიდან (კ.).

ომის ცენტრი. „Deutsche Tageszeitung“-ი ირწმუნება, რომ ომის ცენტრი ამ ვამად ბალკანეთზე გადავიდა. „ბერ. ტაგ.“ თანამშრომელს უსაუბრნია თალათ-ბეისთან, რომელსაც უთქვამს: ჩვენ არავითარი განზრახვა არა გვაქვს იტალიას ომი გამოვუცხადოთო. ამის გარდა, არც თუ იტალიის მხრით ველით დაცემასო.

იარაღი ალბანეთს. დურაკოდან იუწყებიან, რომ ავსტრიის ნაღმოსანმა ალბანეთის ნაპირებზე გადასტორთა თოვ-იარაღი და დიდძალი სამხედრო მასალა, რასაც ალბანელები დაუბრუნებენ სერბიელთა საწინააღმდეგოდო.

„თეთრი წიგნი“. გერმანელებს გამოუცხათა „თეთრი წიგნი“. ამ წიგნში გერმანელები უსაყვედურებენ ბელგიელ ხალხს, ასე ველურად

რად ეპყრობოთ ჩვენს ჯარებს, რამაც ასეთი უსაყვედურები გამოიწვიაო. „ტაიმს“ დეპუტი სტრეტიუმი გატაცებამ მოიცილა ბელგის ხალხი და ჩვენს ჯარების მოძრაობის დროს მცინვარებდა და არ გვისცენ ბაზაო“...

ნაკვეთი

ვილჰელმ I „დებიუტი“.

ფრანგმა ჟურნალისტმა პოლ ჰერვეს ფრიალ სინტერესს წერილი მოათავსა „La Nouvelle Reue“-ში ვილჰელმ მეორის დაბადებისა და მის პირველ დებიუტის შესახებ: ვილჰელმი დაიბადა 27 იან. 1859 წ. ფელდმარშალმა ვანგელმა გამოუცხადა პრუსიის დიდებულთ: „ბატონებო, ახლავაზდა სალდათი, რომელსაც მოუთმენლად ველოდით, აერ მოზრძანდა კიდევ-პირიცი ვილჰელმ პრუსიელი ეს არის ეხლა დაიბადა. რადესაც ვილჰელმი 9 თვისა შესრულდა, იგი ჩარიცხულ დღეს ბერლინელ მდიდარ მოქალაქედ.

ვილჰელმი მეტად მოუხეხარი იყო. სამეფო ზეწარში გახეული ახალაზნა ბატონიშვილი ყვიროვ და ფეხები აფართხალებდა. ერთმა სტუმარმა ამოლო ჯიბის საათი და ბავშვს გასართობად გადასცა. ვილჰელმი დაშვიდდა. ხელი წავლო საათს, ვააქნ-მოაქნია, პირშიც ჩაიდო, თითქმის ჩაქვს სურსო და ალარაგის ანებებდა. ბოლოს, როცა მწინაშა, საათის წართმევე უნდათ, მორთი ხელ-ახლად ტარაშთან შინმა პაპამ მიმართუყოფთ:

ჩვი დაანებეთ, ბატონებო, ხომ ჰხვ რომ ჩემი შვილი-შვილი ნამდვიტყველი იქნება. თუ რაიმე ნივთს მოა ხელი, თავის საკუთრებად სთვდა არასოდეს პატრონს არ დაუტებს.

ქრი და შაპარი

ხადღისი.

ჩვი მოადგა საქართველოს. სლი სტუმარი გვიკაქუნებს კარსა. და პროექტები ერთმა გაზეთმა ასეროექტი კიდევ გამოაქვეყნა დაარც მოსალოდნელი იყო, ყოველსაური და უფარელი.

ერთი მშველელი თბილისის სტუმარი გვიკაქუნებს.

თქვისას თავა აზნაურობამ პეტრე უნდა ცოცხოს, ხორბლოც გამოიწერიოს, სოფელში ბელგები მოაწყოს.

ნეტა სვეტი საღა არიან? საღ არიან ის ქირიშვილი ერისა, რომელნიც მშვიდობიანის დროს ასე თავს იდებდნენ მის საელოდლეოთ?.. საღ არიან ერის წარმომადგენელი ამ საშინელ დროს?

საღ არიან ჩვენი ხალხის „მოტრფილე“ ჯგუფები?

ამ მძინ საქმიანობის ტვირთი ყველმ უნდა ატვიოს:

ვლგებმა მღვდელმა, ვაქარმა, აზნაურ, თავადმა.

ინიციატივა ყველას უნდა ეკეთედღეს. მისი ორგანიზაცია ყოველ-წოდებ უნდა იქნ.

ასეთი ორგანიზაცია უკვე არსებეს გახლათ ქართული საქველმოქსახოვადობა, რომელმაც თავის მუშაობით კამაროლიანთ ხალხის ნადამსახურ.

რათ ვარბთ უკვე მოწყობილ ომ ნიხაცის?

რად ჩაკიდით მარტო თავდა-ურობას?

ქალაქის გამგეობამ რუსეთიდან 56 ფუთი შაქრი ჩამოიტანა და დანაწილ მის პროექტს შეადგინა: თითო კაცი შეუძლიან წაიღოს უსაათოდ შაქრის მთელი თბა, ესე იგი 30—36 გირავნაქა.

ნეტა რქელ ქალაქის მამის თავში შემუშავდასეთი პროექტი?

საწყალ ალხს რალას უშვრებით? ვინ შესრებს 5—6 მანეთის შაქრის ერთად ყინას?

ამას მოკრებებს მხოლოდ შეძლებული ქალაქის სი მეოთხედი კი გირავნობით ცხოვრომს ამის გამო შეიძლება განწეორდეს ის მზავი, რომელიც მოხდა შაქრის დარების დროს წარსულ პარასკევს:

თავ-პირ მტრევეა და ღარიბ ღმრის სამართალი წყველა.

შემდეგ ჟირო უარესს უნდა მოველოდეთ და შინ ბრალი დაედებ მარტო ქალაქს დღევანდელ მესურებს, რომელნიც ყველა პოლიტიკოსნი, ვიდრე ქალაქს უვლიან.

თამარ

ხარ დედოფალი ყვავილებით გვირგვინოსანი,
სინაზის ნიშნად ხელთ გიპყრია ნორჩი სოსანი.
ეგ არის შენი ძღვევის სკიპტრა ფერადოსანი,
შოთამ მამხილა, ვყოფილიყავ შენი მგოსანი.

და, აჰა, გიმღერ ქართველის სულა, სულა მზიერო!
ჩემის დროების საუნჯეო, სოფლად ციერო!
ზაფხულის პირო, წმინდა ნებით მარად ძლიერო,
თამარ ლამაზო და ნარნარო ივერიელო!


როს ახლოვდება შენი დიდი დღესასწაული,
შემოველება მდელის მწვენიდ გარს სამკაული;
ზეიმით ჰხვდება შენს დიდებას მოხუც—ყმოსანი.
ამ დროს ვერ იტყვი; თუ რად მღერის შენი მგოსანი.

მამულიშვილებს სიამეს ჰგერის ჩემი ხსენება,
რადგან შეგიტყბე და ვიმღერე შენი მშვენება.
ჩემში ერს უყვარს შენი სახე თამარ დიელო,
თამარ სპეტაკო და ნარნარო ივერიელო!

სანდრო შანშიაშვილი.



მისი უმალღესობა კნენა ტატინა ბაგრატიონ მუხრან-ბატონი, ასული დიდი მთავრის კონსტანტინე კონსტანტინეს ძისა, და მისი შვილი თეიმურაზი.



ეროვნული გენერალი

ფლიველ-ადიუტანტი
თ-დი კონსტანტინე მუ-
ხრან ბატონი. მოკლულ
იქნა ბრძოლის ველზე
გალიციაში.

გვანი სიტყვა

საზღვარი შემოვრევა საქართველოს.
ეს ძველი ამბავია, დღესაც ბევრისაგან
შეუგნებელი. ქართველი კაცის ფსიხიკი-
დანაც აღიხოცა ეროვნული განთავით-
ვის ცნება. ნელ-ნელა გასასვლელი მოგვის-
ხოთა შორის.

გა-
ნუკვეთელი ერთფეროვანი საქართველო
ეთნოგრაფიულად აჭრულდა. წაგვერთვა
ზოგი ქალაქი, რამდენიმე მაზრა; შავი
ზღვის ნაპირისკენ გასასვლელი მოგვის-
ხეს.

უშნო მემკვიდრენი წინაპართა ძველ-
ბისგან ათას წლობით შენამტყეციბი სა-
ქართველოსა ხიფათს ვერ ვამჩნევდით;
უკრდელად შეეყუებდით, თუ როგორ
გაქჷონდა იგი სვავსა და ყორანს. უფრო
ადვილი იყო დაკარგვა, ვიდრე შენარ-
ჩუნება;

ადრე ეს სიმახინჯე უშუალო ფუნქცია
იყო ჩვენი ორგანიზაციის, ნამდვილი ნაკ-
ლისა: ეროვნობის ადგილას, როგორც
იღვისა, ქართველის ქალის სიტალიერე
გაუღდა; და ამ სიმახინჯესაც შერჩენი-
ლი ჰქონდა თვისი ბუნებრიობის,
თუ შეიძლება, შესაწინარის სახე. იგი
გულწრფელი იყო და გამოღვიძებულთან
ალორინების იმედით კიდევ წინ იდგა.
მას აქეთ ოციოდე წელიწადია, ეს სო-
ციალიერე რომ ამოიგოსო. ქართველმა ბე-
ვრი სიბრძნე დაიხემა, კიდევ მეტი სო-
ციალ-პოლიტიკური კონცეპტია. ეროვნ-
ობაც, როგორც იდგა, უკვე აწუხებდა
მის „შემომქმედსა და მაძიებელ ტენის“.
შეგნებაშიც ვიგ შეანათა, მეტად ახირ-
ბულმა. ეროვნულ კულტურაზედ ალუზ-
ნდელი, დარჩენილი გარეშე ჩვენის ძვე-
ლის გონებრივის საგანძურისა; მახლო-
ბელი ჩამომავალი უკანასკნელ საუკუ-
ნეთა ჩვენი ეროვნულის აზროვნების გა-
ვერანებისა, უკვე შეჩვეული ეროვნულ
უსახეობას და ირგვლივ ვერ შეუღ
ეროვნული პოლიტიკის წარმოებისა,
ქართველი გულს ვერ დაუღებდს ეროვნ-
ულ იდეას, მის გარშემო ვეღარ აჩადებდს
ცხოველ მყოფელ გონებრივ მუშაობას,
ვეღარ აღრმავედს შემომქმედ ანალიზს.
და რაინდულთა გამოაცხადება: ეროვნ-
ული იდეა გარდასული დროის სამ-
წესხარო ნაშთია, ხოლო უკეთეს შემ-
თხვევაში სამადროო მეტ-ბარგო.

ამვე დროს ქართველის გამოღვიძებულ
და საძიერად გამოსულ ტენის მაცდუ-
რად სდარაჯობდა ევროპის გონებრივ სა-
კულტურაში გამოცხადებულ ქედებს და
ისიც, რასაკვირველია, ამით წაწვედა ხარ-
ბად. მექანიკური ცნობილია პრინციპი:
სხეული იქითკენ მიექანება, საცანაკლები
წინააღმდეგობა გზათ დაუხვდება. და აბა
საყვედური გვეთქმის, რომ ჭბუტის დამ-
შუღლმა გონებამ მზა-მზარეულს მიატანა.
ეს მასიური მოვლენა იყო საქართველო-
ში. ინტერ-ეროვნული და სოციალის-
ტური პრინციპი დაუფლა პირველ-
ყოფელ მეთურნობის ქვეყანას და ჩვენში
ნახსენები სიმახინჯის აპოლოგეტად გა-
მოვიდა. და მდიდდურად ჰყვარდა ჩვენი
გონებრივი მანკის ნამეტნაობის ყვავილი!



გენერალი ვახტანგ ვაზაშვილი
დაჯილდოვებულ იქნა წმ. გიორგის ჯვრით



იმპერატორი ვილჰელმი ბავშვობაში.

ამასობაში უფრო და უფრო გამკაცრ-
და შემოტევა. ქვეყანას ფერდები ჩაუ-
ღეწეს. როდის-როდის მოესმა კურთა
საქართველოს მიწის განპობის ხმა. ზოგს
უსიამოვნოთ დაემანჯა ბარისახე, მაგრამ
საერთაშორისო იდეალების სიყვარულმა,
ჩაუღმდგარი ქარიშხალივით ჩვენში რომ
უბერავდა, გაუქარვა სევდა სიქარიით.

ამ „ზოგთაგან“ შემდგარმა პოლიტი-
კურმა პარტიამ, არც აცხელა, არც აცი-
ვა, ხელი აიღო ორს მახრახედ, ჩამოს-
ჭრა ისინი საქართველოს სხეულს და
მათ დაულოცა, ვინც საქართველოს ფილ-
ტრებს მანქანებით ჩასთესვია, ჩვენი
ერის სასიცოცხლო ინტერესის წინააღმ-
დეგ. ზოგი კიდევ ერთგვარის, უნდა ვი-
ფიქროთ, მაღლობით შეღიშოდა ამ სი-
ნამდვილეს. სახუმარო არ იყო: სამშობ-
ლო ქვეყნის რეალური ვითარება მასალას
აძლევდა უჩარჩო იდეალების საქადაგოდ,
ყოველივე ეროვნულის შესაწინარდ ინტერ-
ეროვნულის სამსხვერპლოზედ. სადაც ქარ-
ხანა-ფაბრიკების, „ქმინვას“ ვერ აყრუებ-
და უმიწა-წყლო და უსახლკარო პროლეტ-
არათა „გმინვა“, იქ ოცდვილი მიწის სა-
მართლიანობის გამკითხავს, დიხაც რომ
გაუხარდებოდა ერთაშად ასეთი სინამ-
დვილის პოვნა. ამ ზოგს თავი მოჰქონდა
მათ რომ „არც ერთ ხალხს ისე ნაკლებ-
ბათ არ აინტერესებს ნაციონალური სა-
კითხი, როგორათავ ქართველ ხალხსაო“.

ამ „ზოგთაგან“ შემდგარმა პოლიტი-
კურმა პარტიამ ლოლიკის ბურჯად გაი-
ხადა ნაძალადევი ეთნოგრაფიული აქრე-
ლება თავის ქვეყნისა, ოდეს მას უთხავე-
და სარეცეპტო პოლიტიკო-ეკონომიურ
კონცეპციას და დედა-სამშობლოს ეროვნ-
ული თვით-გამგველობის უფლებაც-კი
ახადა!..

და ყოველ დღეს მოჰქონდა საქართველოს
განდენილობის შემცირება, დავიწროება,
საქართველოს შეკუმშვა, შეხუთვა. ერი
ცოცხალი ორგანიზმი, მუდამ განახლებუ-
ლი. მრავლება და ზრდა მისი არსებობის
ფუნქციაა. ადგილი სჭირდება გაიწიოს, გაი-
შალოს.

შემკუმშველ ძალებს უნდა დაუპირ-
ისპაროს თვით-გაშლის ურყევი ინსტინქ-
ტი. იგი ვერ დარჩება გულგრილი შემცეპ-
რალი სადოსტაქრო ჩარევისა, მისთვის
რომ დაქინება და გაუბადრუკება მოაქვს.

იგი უნდა დაეპატრონოს მთელ მამულ-
დელს, წინაპართ რომ გადმოუციათ,
სადაც კიდევ გაისმის ქართული ენისა
თუ მის კილოკავის ხმა, სადაც ცოცხა-
ლი სდგას ძარღვ-მაგარი ქართველთა მო-
ღმბე; სადაც კიდევ ჩამარხულია და დაყ-
რილი უსუი ნაშთები ჩვენი ძველი მდიდარი
კულტურისა.

საქართველოს მომავლის ვარსკვლავი
უნათებს და არავითარ დიდებისათვის იგი
მიწის ვერ დაუნაჭრებს
მოწყალების გამცემი ვერჯიქ-
ნებას ერი, და ვერც თავის საკუთარ სი-
ცოცხლეს მიუტანს იგი სამსხვერპლოზედ
სხვა ერის ზრდასა და სიცოცხლეს. ვერც
ლამაზს პრინციპებს ვაბაბარუბინებს
თავის თავს.

ჩვენი შემეცნებით, ერი თვითკმარი
ცნებაა. ამიტომაც, ერისთვის თვით-გან-
მტკიცება მალა სდგას, ვიდრე რომე-
ლიმე გონებრივი კატეგორია. იგი არა-
ფერს არ ექვემდებარება. ის უნდა მოხ-
დეს უწინარეს და უპირველეს ყოვლისა.
ერისგან თავისთვის დადასტურება, ისე
როგორც ყოველი ცოხალი ორგანიზმი-
საგან, იმპერიოზული ადგილ-ღება ამ
ქვეყნად.

ეროვნული კულტურა, ინტელექტი და
მისი ფერადები მხოლოდ ნაშვია ეროვნ-
ული სხეულისა. ეროვნული სხეული მაგ-
რად, მტკიცედ უნდა იდგეს მჭიდრო
ტერიტორიაზედ, რომელიც ერთსა და
იმავე დროს მისი აკვანიცაა და საფლა-
ვიც.

არ ეგვიძალავთ ვსთქვათ, ჩვენი მის-
წრადების ლურსმანი სწორედ ამ აკვან-
საფლავის დაცვაა, საქართველოს საზღვ-
რების აღდგენა. ხოლო საქართველო ხომ
უნივერსული ცნებაა, საკერძოო რამე
როდია იგი, არამედ საერთო. პარტიის
ხალხთა სარბიელი როდია იგი, არამედ
უპარტიოთა სამკვიდრებელიც: მართლმ-
დიდებელ ქართველისა როდია იგი მხო-
ლოდ, არამედ კათოლიკე ქართველისაც,
მამამდიან ქართველისაც. საქართველო
ყოველი ქართველისაა. მისი საზღვარი
ყველა ჩვენი საზღვარია. მაშნულა ვი-
ქმნებით გათიშული ამ თავი და თავი
საკითხის გარშემო. ფსიხოლოგიურად
შემოვიფიქროთ თავი ჩვენი და ნივთიერი
ზღუდელ გარშემოუღდათ ჩვენსა ქვეყანას.

„ქართლი ერთობილი“ და შეუღდეს
ამ საერთო საქმის განამდვილებას!
ეს არის ჩვენი პირველი სიტყვა.

ქართული წერილები

ისევ სანინი.

—ძმობა, ერთობა, თავისუფლება!—ეს
იყო დასაწყისი წარსულ მოძრაობისა.

სანინი არცთავისა, წითელი ოთახე-
ბი, ახალგაზობის „და-ძმობა“ დი სქე-
სობრივი თავისუფლება.
ეს გახლავთ მისი დასასრული.
მერე დაიწყო ღვთის ძებნა, და რომ
ვერეინ იბოვეს, ერთიც დაიფიქრეს, მე-
ორიც დღეს მესამეც. ბრბოს ფსიხოლოგია-
საც თვისი კანონები აქვს: აღფრთოვანე-
ბასა და ვაცრუებულ იმედს მოსდევს ჯერ
სქესობრივი ხარბობა და გიჟი ქეიფი,
მერე სნეული მისტიციზმი და ღრუბელთა
დევნა, დასასრულს კი საყოველთაო მო-
ქანცულობა, სულერთიანობა და თავი-
ქანდრული ზნეობრივი და სულიერი ხე-
ტიალი.

მაგონდება ეს რკალი წარსულ მოძრა-
ობისა. დღევანდელსა და წარსულის შო-
რის მხოლოდ ის განსხვავება გახლავთ,
რომ დღეს „დასასრულს“ „დასაწყისი“
არა აქვს.

სისხლის წვიმების დროს ვცხოვრობთ.
ისტორიის ყოველ ათას წელიწადში ერთ-
ხელ თუ წაიკითხავთ ასეთს შავსა და
ამავე დროს სხეულს თაბახს. მომავალ
თაბახს ჩვენი მხოლოდ ის შეშურდება,
რომ მათი წინაპრნი ასეთ დროს ცხოვ-
რობდნენ. ჩვენ კი...

„რა ვაცეთო, რას ვშურებოდით?“
„ანგელოსთა აჯანყებას“ ვკითხულობ-
დით და ერთმინეთს ვეკითხებოდით: არს
ღმერთი თუ არ არს?
ისიც მაგონდება: როცა ოსმალთა
სულთანმა მუჰამედ მეორე ბიზანტიელთა
დედაქალაქს კონსტანტინოპოლს მიაღდა
და მის გაღვაწის ანგევედა, ბიზანტიელი
ღვთის მეტყველნი და მეცნიერნი (იმ
დროის ინტელიგენტები) ერთმანეთს ედა-
ვებოდნენ: მართლა ახვევია ღმერთს ან-
გელოსთა გუნდი თუ არა, დი თუ ახვევია,
რამდენი ანგელოსთა ახლავს მარცხნივ და
რამდენი მარჯვნივო. ვისაც ანგელოსთა
რაოდენობა არ სჯეროდა, ასამართლბა

დენ და შეგვენებას უკითხავდენ. ჩვენც
გვიკითხავენ „ანგელოსთა აჯანყებას,“
პოემის მეტად ბავშურსა და ხებრულს,
ალსასეს ბრიულ და კანდიერ ღვთის-
გმობითა, —და შემდეგ ერთმანეთს ედა-
ვებიან:

—რით დავაჯილდოვოთ ავტორი მისი,
დაუნის გვირგვინით თუ იფნის წყვლით?
ასე უბნობდენ ერთი თვის წინათ
ღვთისა და ანგელოსთა შესახებ, დღეს კი
სტენაზედ მკედარ კატასავით ისევ სანინი
უნდა გამოათირონ, ათასი კაცის წინაშე
უნდა შესწამონ მამალს ხარბი სიყვარუ-
ლი დედლისა და მერე ერთმანეთს დაე-
ტაკნენ ასეთის კითხვითა:

—არს თუ არა ცოდვა დევნა ყოვლისა
კაბისა, და თუ არს, ვითარ დისაჯოს
კაცი ასეთი: დაუნის გვირგვინით თუ
იფნის სახრითა?

სანინი უკუყო კაცი არ იყო დი ცხლა
რომ ცოცხალი ყოფილიყო, იტყოდა:

—ისევ ქვიანთა შორის გიჟობა მირ-
ჩენია გიჟთა შორის ჭკვიანობას.

ქართულად!
უფლება საშუალო კაცის მახვილია
დევნობა იგი არ გამოადგება, ჯუჯა კა-
ცი კი მას ვერ მოერევა.

ერთი უფლება გვაქვს: ბევრგან და
ბევრჯერ შეგვიძლიან ქართული ენა ვი-
ხნაროთ, მაგრამ ვერ ვერევით, რადგან
უძლური და ჯუჯა ხალხი ყოფილვართ.
კრებაზე ხშირად ისმის ერთი სიტყვა,
რომელიც სხეულს წამოად გარდაიქცა: „
—ქართულად! ქართულად!

თავმომწონე ორატორს ჯერ დასცხე-
ბა, მერე ცივი ოფლი დასახავს, აუვარ-
დება ენის ციებ-ცხელებმა, იტანჯვის ტა-
ნჯვითა კენისათა და უფრო მეტად
მსმენელს ტანჯავს. ასეთი ორატორი
რუსულ სიტყვას ორ საათში არ გაათა-
ვებდა, ქართულს კი ხუთ წუთში ათავებს,
რადგან ტანჯავს და სირცხვილს გაურ-
ბის.

ასეთი მარცხი სხეულზედ ხშირად ემარ-
თებათ ჩვენს ვეჭვლებს, რომელიც თავის
ხეული იქრიან ყელს როცა თხოულობენ
სამართალში ქართულის შემოღებას.
იციან ალბათ რომ ისინი რუსულ სამარ-
თალში ქართულს არ მოეწირობიან, თო-
რემ ვინ უკრძალავს ეხლავე, სტენაზე
მინც გამართულ სამართალში, ქართულ
ლაპარაკს. აი მაგალითიც.

დღეს სანინს ასამართლებენ (ისევ სა-
ნინი!) სამართალი გაიმართება რუსულად.
თორმეტი თუ ცამეტი კაცი და ქალი
გამოვა, ზოგი ვეჭვლად სანინისა და ზო-
გი მის პროკურორად. ამ ცამეტში მხო-
ლოდ ორი რუსია, დანარჩენნი ქართვე-
ლები არიან და მათ შორის ოთხი თუ
ხუთი ვეჭლია.

ჭკიხეთ ეხლა ამ თერთმეტიანს და
უფრო კი სამართლის გამმართველს: რა
გრჯით, ან რად სწვლობთ? ვინ გაძა-
ლოდ რუსულს, ან ვინ გიშლით ქარ-
თულს? ან იქნება საქართველოს ისტო-
რიაში, ანუ მწერლობაში, ანუ ჩვენს ეხ-
ლანდელს ბედუქუმართ და შავბნელ
დროში სამართალში მისაცემი არავეინ
არის?

სანინი უკუყო კაცი არ იყო და ეხლა
რომ ცოცხალი ყოფილიყო, ასე ეტყოდა
თავის პროკურორებსა და ვეჭვლებს:
—დასვით თავი თქვენი დამნაშავეისა
სავარძელსა ზენდა, ხოლო მე აღვიღრ
ჯობი მისამართლისა და კანონითა ჩემი-
თა გაგასამართლოთ თქვენი.

ახარის კლდეებიდან *

(ნახული და გაგონილი).

— ეხლა რაღა უნდა გიამბოთ? აჭარა აღარ არსებობს. გინდ დავაჯეროთ, რომ აჭარა უნდა დაეკავებინათ არიან, ამ საბრალოდ მინც რაღა ემელებათ! — მწყურვალ ვუპასუხე რუს ოფიცერს. — ან რა უნდა გიამბოთ. ნუ თუ, თქვენთვის, განათლებულ კაცისათვის, საჭიროა მტკიცება, რომ ასე მდიდრათ და მრავალის საუცხოვო დოვლათით მოწყობილ აჭარელს არ შეეძლო საავანტიურა გზას დასცვათ და აობრება-განადგურება მიეცა თავის მრავალ წლოვანი ტანჯული ნამუშევარი ამ საღ კლდეთა ქვეყანაში? ოსმალთა და აჭარელთა სარწმუნოების ერთობამ აჭარლები გაიტაცა... ასე ამბობს ზოგი მტერი აჭარლებისა. მეოცე სოკუნეში ამის მტკიცება დიდი უჭკურობაა. მაშინ იმის მტკიცება შეიძლება, რომ რაკი რუსები და ქართველები ერთ-მორწმუნე ერთი არიან, უკანასკნელისათვის საუთარი ინტერესები აღარ არსებობს? ეს დიდი შეცდომაა. დღეს ეროვნულ-ეკონომიური ინტერესები იმ მთავარ ღერძს შეადგენენ, რომლის გარშემო ყველა თანამედროვე ერთა ცხოვრება დასტრიალებს. გერმანია-ოსმალეთის დაქორწინება და რუსეთ-ბულგარეთის გაყრა საუკეთესო მაგალითია ამისა.

აჭარელთა ყოველგვარი ინტერესი გადაშლილი იყო საქართველოსთან. ძველ დროიდან იგი ეტნიურად, პოლიტიკურად და ეკონომიურად საქართველოს ნაწილს შეადგენდა. ისტორიის დროთა მსვლელობაში აჭარა პოლიტიკურად დროებითი მოსწყდა საქართველოს და სარწმუნოებაც იცვალა. მაგრამ ამ ორმოცი წლის წინად იგი შეუერთდა მას და მჭიდროდ გადაება საქართველოს. თუმცა ბრძენი პოლიტიკოსები „თათრებად“ ნათლავდნენ იმით და ჩვენსკენ ზურგი მოაბრუნებინეს ზოგიერთ აჭარელთ, მაგრამ მინც აჭარა საქართველოსკენ იხედებოდა და უკანასკნელ დროს უფრო და უფრო ეკვროდა თავის სამშობლოს. ამიტომ ოსმალთა პანილომიზმის ქადაგებას არავითარი შედეგი არ მოჰყვა. მათი „ლაღატი“ სულ სხვა მხრივ იხსებება. რუსები წაივინდნენ და უპატრონოთ მიატოვეს აჭარლები. ოსმალები მივიდნენ და ტყვია-ბიჭვებით დაეპატრონენ.

ოსმალები წაივინდნენ აჭარიდან და ნახევარი აჭარა ძალდატანებით წინ გაიარეს, მერე რუსები დაბრუნდნენ და უმთავრესი ნაწილი დაბრუნდნენ აჭარლებისა მათვე გადაურესეს.

რათა, რა მოხდა? ვილაკებმა სიტყვა გადმოისროლეს: აჭარლებმა გვილაღატესო!

ეს ის ვიგინდარები იყვენ, ვისაც აჭარის „ლაღატი“ ხელს უთბობდა, ვისაც მდიდარ აჭარელთა მამულ-დედულის ოხრად ხელში ჩაგდება უხდოდა. რა თქმა უნდათ, მოეწონებოდათ მშვენიერი შავი ზღვის ნაპირები, მაგალითად გონიის საბოქაულო, აღსაესე ლიმონების, ფორთოხებისა, და ზეთისხილის ბაღებით.

ზოგი შინაზრდით ჩინოსანი პოლიტიკოსი ასე სჯიდა: სახელმწიფოებრივი ინტერესები მოითხოვს, რომ ეს ქვეყანა გაგვეთავისუფლებინა საეჭკო აჭარლებისაგან და ჩრდილოელი კოლონიისტები დავესახლებინათ. როგორც ხედავთ, ეს „ლაღატი“ ბევრისთვის საჭირო იყო. და აქი შეტქნეს კიდევ. ამის შედეგს ხომ თქვენვე ხედავთ. აი, ქორიში მოკურავს დოვლათი დაწვრთულ-გადამწყურ აჭარისა, რომელზედაც თქვენი მითითებით. ისტორიის სიმართლე არ დაემალება, სად არიან ეხლა აჭარლები? ვინც მოასწრო და ამ საფუძველს გამოსუსტდა, ბათომ-ქობულეთს შეაფარა თავი, ბევრი აჭარული თავის საშინელ კლდე-ღრეებში იმალება და შიმშილით კვდება. ზოგი კი ყაჩაღად გავარდა და არ-მარტო დათარეშობს, ხან ცალ-ცალკე და ხან ოსმალებთან ერთად, რომელთა შესახებ გვეკითხებიან ხოლმე: მაშ რა არის ეს თუ არ ღალატი!

საბარლონი... მაგრამ ამაზედ მგონი თქვენ თვითონ უპასუხებთ ეხლა...
 გაჩუმებული პრაპორშიკი ყურს მივადებდა.
 — თქვენ მომწონხართ—უტბად, პასუხის მაგიერ შემომძახა მან.
 გაკვირვებულმა შევხედე.
 — მომწონხართ, როგორც ქართველი, როგორც შეილი ამავე ქართველ ერისა. და თქვენი კეთილშობილი აღმფოთებაც ჩემს ხელს სწვდება. თქვენ, გვინებ მართლად უნდა იყოთ. ამას თქვენი ზღვრებიდან სხავე მიმტკიცებს. ჩვენ

რუსები უსამართლო ხალხი ვართ, მაგრამ ეს ჩვენი ბუნებრივი თვისება კი არ არის. ეს ჩვენი უსოცინარობით მოგედის. ამით ბევრ საქმესაც ვიფუტებთ. ბოდიშს ვიხიბ. თქვენმა პირვანდელმა სიტყვამ დიდი სურვილი გამიღვიძა აჭარელთა საკითხის დაწვრილებით გაცნობისა. თუ შეეხვდით სამე ერთმანეთს, გაძლევთ პატიოსან სიტყვას, რომ მართლად გავიგებ და არც დაგიმალავთ. ეხლა კი ნახვამდის,—სთქვა პრაპორშიკმა, მხედრულის საღამით გამომოსალმა და აჭარული ნაბიჯით თავის სამთო ზარბაზნებით გაეშურა შორით გამოჩენილ ართვინისაკენ.

ორი კვირის შემდეგ, საღამო ჟამს ართვინის ერთ სახლიდან ვიღამაც ვადმომძახა. ფანჯარაში ნაცნობი პრაპორშიკი ხელს მიქნედა და სახლში მპატიობდა. ჩამოვედი ცხენიდან, შევედი, მივესალმე. პრაპორშიკმა მაგრად ჩამომართვა ხელი და მიხარა;

— თქვენ მართალი ყოფილხართ. აქ რაღაც დიდი უბედურება ხდება. მე ვნახე დღეს დატყვევებული აჭარლები. რა მოხდენილი და ლამაზი ხალხია! ჩავერიე და ლაპარაკი დაუწყე. უნდობლად მიპასუხებდნენ. ერთი ნამეტან წარბშებრილი და ხნიერი აჭარელი გაბედულათა წინ წამოდგა და რუსულათ მიხარა: „თქვენ უღანაშაულო მშრომელ აჭარლებს ყელეზი დასტყროთ. იქნება ამ სამსახურისთვის?“ — და თან რამდენიმე ჩვენი ჯიღლი —მეღალი ამოიღო. მათ შორის ერთი იაპონიის ომისა იყო. ძალიან მეწყინა. ეხლა ამ ხალხს ბათომისაკენ მივრეკებოდა. საჭიროა მათი დახმარება. სამართალში მისცემენ. კაი ვეჭოლები უნდა ჰყავდეთ, თორემ დიღუბებიან. აცნობთ თქვენებს. საქმეში ყველა პატიოსანი რუსი დაგეხმარებათ.—მეუბნებოდა აჭარებით პრაპორშიკი და თანაც ხელი მაგრად ჩამჭიდა.

— დაგვეხმარება კი? ეპვით შევეკითხე კეთილ რუსს.
 — უსათუოდ! უსათუოდ!—მეუბნებოდა იგი.
 — მაშ ამასაც მალე ვნახავთ, და როცა ისევე შეგხვდებით, არც მე დაგიმალავთ სიმართლესა,—ვუპასუხე მას და გავეშურე პოხიციებისაკენ.

დ. კახელი.

ჩვენები მოში

ქ. ართვინის აღება.

ცხენების ჭიხინი, რაზმელების ჭიფილი, ფაცა-ფუციით იარაღის შესხმა, უფროსების ბრძანებით ყვირილი, იმის ქართველ რაზმელების ბანაკში. რაზმი ემზადება საბრძოლველად. ღამით მიიღო ბრძანება ქ. ართვინისაკენ გამგზავრებისა და მისი აღებისა.

ცხენოსანთა ასეული კიდევ შეჯდა ცხენებზედ და ნელ-ნელა დაიძრა ვიწრო გზატკეცილით. ორი ფეხოსანთა ასეულიც თან აჭარებულ ნაბიჯით გამოედევნა.

ზედ მიჰყვენ საველე ზარბაზნები, ტყვიის მტყორცნელები და სხვა და სხვა ფეხოსანთა რეგულიარული ჯარები. ს. — ნ ფეხოსანთა ჯარებმა ქართველ ასეულებით გზატკეცილს მარცხნივ აუხვიეს. თანაც ზარბაზნები აიტანეს; ქართველ ცხენოსანთა რაზმი კი გზატკეცილს დაადგა. შტაბის ბრძანების თანახმად ქართველ ცხენოსნებს დაველათ გზატკეცილით იერიშის მიტანა და ამით ქორიხის მარჯვენა მხარეს ჩასაფრებულ მტრის სროლა გამოეწვია, რათა ზარბაზნებს მისცემოდათ საშუალება ოსმალთა პოხიციების აღმოჩენისა მიზანში ამოსაღებად.

ოსმალებს თან ახლდა ორი ზარბაზანი, მაგრამ მიჩუმებული იყვნენ და არ სურდათ უდროით თავის სიმაგრეთა აღმოჩენა.

ქართველებმა მაშინ ხერხი იხმარეს. როგორც კი ცხენოსნები დაუპირდაპირდნენ მტრის პოხიციებს, გზატკეცილზედ ჯგუფებათ დაიყვნენ და ერთმანეთს ჩქარი ნაბიჯით მიჰყვნენ.

ოსმალებმა ეს პროცესია არტილერიის მოძრაობას მიაშვავეს და აბა როგორ შეიკავებდნენ თავს და სახარბიელო მიზნისათვის!

დაუშინეს ზარბაზნები. არტილერიასაც ეს უნდოდა. ოსმალები ზარბაზნების ბოლო გამოამკლავნა და დაუწყეს უდმერთო სროლა. მაგრამ ოსმალები მედგრად იბრძოდნენ. გზატკეცილის თეთრი ხაზი, რომელზედაც მშვილად და დინჯათ მიდიოდნენ ქართველი ცხენოსნები ოსმალებმა თავის მხრივ მიზანში ამოიღეს და შეუბრალებლად აყრიდნენ ტყვია ყუმბარას. ცხენოსნების მდგომარეობა გამწვავდა. ორი კაცი კიდევ დაიჭრა, მათში დაიჭრა თუში და

ხრამში გადავარდა. მაგრამ ამან არ შეაყენა ქართველობა. მაშინვე ცხენებიდან ჩამოხტნენ და მიეფარნენ კლდეს და გადასწყვიტეს თითო-თითოდ ცხენის ქენებით წინ გასხლტომა.

შეჯდა ერთი ყოჩალი ცხენოსანი. გააქენა ცხენი; ოსმალებმა დაუშინეს თოფი. მაგრამ ამაოდ—გაუსხლტდა!

მას მოჰყვა მეორე, მესამე... აგერ, ვაჟაკი მ. — ე შეხატა ცხენს და გაქანებულ იერიშით გავარდა წინ. მტრმა ზარბაზანი დაუშინა. ერთმა ყუმბარამ მაშინ მხედარს ზედ თავზედ გადაუარა და კლდეს მისაკდა. ყუმბარის ჰაერმა ქული მოსტაცა ცხენოსანს. გადაიხტა ცხენიდან, დაიხურა ქული, კვლავ შეხატა ცხენსა და გაჰქრა ვით ქარი გაკვირვებულ მტრის თვალ-წინ. ამ როგად მთელი ცხენოსანთა ასეული გაუსხლტდა ოსმალებს და შეუჩერებლივ გასწია ქ. ართვინისაკენ. ამავე დროს ზარბაზნებმა და ფეხოსანთა რაზმებმა საშინელი სროლა დაუწყეს მტერსა და აიძულეს იგი დიდ მანძილზე დაეხია. ეს იყო დასაწყისი ოსმალების დაწვეისა, და როდესაც ქორიხის მარჯვენა მხრიდანაც ოსმალებს მარცხენა წვერზედაც ჩვენი გამოჩნდნენ, აჭარებით ქედის იქით დაიწყეს და ქ. ართვინისაკენ გზა გახსნეს.

ქართველი ცხენოსნები ართვინს მიუხლოვდნენ კიდევ. მალე მათ მარდი მოსიარულე ფეხოსანი ქართველი ასეულებიც დაეწვივნენ. შორიდან გამოჩნდა ართვინის აფეთქებულ რკინის ხიდის დაზიანებული შავი სვეტები. რკინის ჩონჩხი სვეტებს შორის ჩავარდნილა და ზედ წყალზე ტიტებდა... სვეტებს რამდენიმე ადვალს დაუქერია ხიდი და არ უშვებდა. ხიდის გაღმა მოჩანდნენ ართვინელები, გამოსულნი ძველ ბატონის დასახვედრად. რაზმები ხიდან შეეგუფდნენ. მდინარე ქორიხი ბრაზიანად მიაქანებდა თავის აფორიაქებულ ტალღებს და ჩავარდნილ რკინის ხიდის ჩონჩხზედ ღრიალ გრილით გადადიოდა. ამ „ხიდზედ“ გადამსვლელი არ ვინ მოჩანდა...

ამ დროს გაისმა ხმა: გაუშვით წინ ყოჩალი ქართველები... ესენი გადავლენ. პლასტუნებმა გზა მისცეს. ათი მზევრავი ქართველი რაზმელი მიაღდა აფეთქებულ ხიდის უფსკრულს. შეტყვირეს იქ შეგუფულ ართვინელებს და რამდენიმე ფიცარი ხიდის ჩონჩხზედ გადმოავლებინეს. „ხიდი“ მზად იყო.

პირველი ჩახტა რაზმელი კახიანი. ხელების ქანაობით და კალასებურ ხტომით მიახტა მეორე სვეტს და მილიდან ჩამოშვერილ ართვინელების მიერ თოკზედ კატასავით აძვრა. კახიანს მიჰყვა გულადი სეფრაშვილი. გადასტვადმოხტა და აცოცდა... თვლის დახამამებაზედ ათი ქართველი რაზმელი მეორე ნაპირს გადასკუბდნენ.

მათი მიმე ჩრდილოელი ამხანაგები გაკვირვებით თავებს იქნევდნენ და ამბობდნენ: ეს რა ხალხიაო!

როგორც კი გადავიდნენ იქითა ნაპირს ქართველებს დაუხვდა ართვინის სომხობა. ტურტრები ჯვრით, დღე-ღატები ჰურ მარლით... და მრავალი ხალხი. დაუწყეს ხვეწა, კოცნა...

ტურტრამ სამადლობელი სიტყვით მიმართა...
 ოხუნჯმა კახიანმა უპასუხა:
 — ჩაიწერეთ და არ დაიფიწყით, რომ ჩვენ თავისუფლება მოგიტანეთო.

მხედარი

სახელდახლო

„საქართველოს“ მკითხველი! შენ და შენი ღმერთი, გულ ახლითა სთქვი, ხომ გიყვარდა შენ საქართველო მაშინაც, როცა „საქართველო“ ჯერ თვალთ არ გენახა. ხომ გსურდა, ძლიერა გსურდა, ნატრობდი—ჩემს სამშობლოს რითიმე გამოვადგო. და თუ სხვა აზრები შეგძლო, მგონობისთვის, ლექსის წერისთვის ხომ მაინც მიგიყვია ხელი, მაგრამ... ვინ იცის, ეხლა „საქართველოს“ მკითხველთა შორის რამდენი მგოსანია, რამდენს აქვს ათასობით დაწერილი ლექსი, მაგრამ, სწორედ მოგახსენოთ, თუმცა მეც მსურდა მგოსნის სახელის მოხვეჭა, მაგრამ ამ სურვილიდან არა გამოვიდარა.

განა თუ ლექსი, რითმა მექნებოდა? თქვენ არ მომიკვდით! რითმაზე ადვილი რა არის: ოღლა, თანდლა, გახვდლა, დალოლა, წაშლოლა, წარდენლა... მაღლობა ღმერთს, ქართულ ენისთანა მდიდარი ენა განა კიდევ არის სადმე? მაგრამ ჩემი უბედურება ის ვახლდათ, რომ არ ვიცოდი, ვისზე დამეწერა ლექსი? სამშობლო, სატრფო, ვარდი და ბული...

ბული, სიყვარული... ყველა ეს სულ ყველაფერი ჩემზე ადრე შეაქეს მგოსნებმა, მე ვერ მომეფიქრებინა, რაზე დამეწერა ლექსი? ავიღებდი ხოლმე კალამს ხელში და დაეწერიდი მაგალითათ:

შემოღამება იალბუზზე (გუშლენი ნინოს)

იცოცხლეთ, ბევრი ქალები მყავდა ნაცნობი, ვისთვისაც მინდოდა მეძღვნა ლექსი, მაგრამ თვით ლექსი...
 ეჰ, რაღა თავი მოგაწყინოთ, სამუდამოდ დავანებე მგოსნობას თავი, ძლიერ ძნელი ხელობა ყოფილა...

საზოგადოთ ძლიერ ძნელია ახალი რამ გამოიგონო. ავიღოთ, მაგალითად თითქოს ძლიერ ადვილი საქმე—მეომართა სასარგებლოდ შემოწირულების შეგროვება. ხომ სულ ადვილი საქმეა, მაგრამ აბა მოაწყეთ! პირველად სახელი უნდა დაარქვათ: თამაქის დღე, საპნის დღე, საცვალის დღე, მგებლების დღე, ფოსტის დღე, დროის დღე

ყველა ეს „დღეები“ უკვე იყო. ფულიც ბევრი შეგროვდა. აბა ეხლა ახალი რამ გამოიგონეთ? ისევე ძნელია, როგორც ახალი ლექსის დაწერა. მაგალითად, ქა-

ლაქ პეტროვსკში მოიწოდნენ „სალამოს“ გამართვა დაქრილ მიომართა სასარგებლოდ **გაჩინების**

ბევრს აწყენს მისი გამართველებმა, რა დავარქვათ სალამოს, რითი მოვიხილოთ ხალხია...

მოიფიქრეს. რადგანაც არაყი ეხლა აქრძალულია, ხოლო არყის დაღვეის მსურველი ყოველთვის მეტია, ვიდრე „სალამოზე“ წამსვლელი, გადაწყვიტეს სალამოზე გაყიდონ არაყი.

გამოგონება სწორედ რომ გენოსური აღმოჩნდა. ბილეთები დაიტაცეს, ერთი არ დარჩა გაუყიდავი, პირველ გენოსურ აზრს მეორე გენოსური აზრი მოჰყვა. სალამოს გამართველმა ქალებმა „არყის სალამო“ გადააქციეს „კოცნის სალამოდ“.

გამოცხადდა ვაჭრობა კოცნით. ქალებმა დაიწყეს გაყიდვა კოცნისა. და რადგანაც ქალაქის გამგეობა სურსათზე ნიხრს აწესებს, ქალებმაც ნიხრი დააწესეს კოცნაზე.

კოცნა მაჯაზე—5 მანეთი
 კოცნა მაჯის ზემოთ, ნიდაყვამდე—10 მ.
 კოცნა ნიდაყვიდან კისრამდე—25 მან.
 ამაზე არც ზევით და არც ქვევით ნიხრი აღარ წასულა.

სალამომ ჩინებულად ჩაიარა.

კუპრია.



ვაჟა-ფშაველა (მორცხვად) შემნიშნეს...

სად არის ხსნა?

ჯერ კიდევ იანვარში იყო ლაპარაკი შესახებ შიმშილობის დასავლეთ საქართველოში. მოსალოდნელმა უბედურებამ შიშით მოიკცა მთელი გურია-სამეგრელო და იმერეთი. გახუთები აღნიშნავდნენ იმ უნუგეშო სულის კვეთებას, რომელიც მაშინ იყო იქ გამეფებული. ამ სტრიქონების დამწერს მიუხვდა იმ ხანებში გურია-იმერეთის მოვლა. დავრწმუნდი, რომ სოფელს უფრო მეტი შიში მოელოდა, ვიდრე ამას აღნიშნავდა ჩვენი პრესა. შარშანდელი შიმშილით წელში გატეხილი გურია, სამეგრელო და ქვემო იმერეთი უკვე დაუკუმბესა და იანვარში განიცდიდა უკიდურესა და იანვარში განიცდიდა ერთი მანუგეშებელი იმედი მთავრობის სესხი ვახლდათ. ამასვე აღნიშნავდა პრესაც.

ჯერ კიდევ მაშინ ესაუბრა დეპუტატი კ. ჩხეიძე ამის შესახებ მეფის მოადგილის თანამეწვეს ჰომეფისტერ პეტროსონს და აუხსნა, თუ რა შიშში იყო დასავლეთი საქართველო. ერთი წლით დამშუღლ ხალხს მოელის მეორე წელსაც უფრო მკაცრი შიმშილობა.

მაშინ ბ. პეტროსონმა ბრძანა, რომ მიცნობებით და ქუთაისის გუბერნატორის სიტყვითაც „ქართულ პრესაში მოათავსებული ამებები და მის გარშემო ატეხილი შიში—მეტად გავზიადებულია და სინამდვილეს არ შეესაბამება“—ო.

ეს იყო იანვარიში.

ხალხი ელოდა სესხს. პრესა დადუმდა. შიმშილი კი მძვინვარებდა.

გავიდა ოთხი თვე. შიმშილი გამძვინვარდა.

აი, წაიკითხეთ წერილები სოფლებიდან, „თანამედროვე აზრიდან“ ამოკრფილი:

სამეგრელოდან:

2 მაისს ს. ეწერიდან, წალიკარიდან და კოდორიდან (ნესეკევის საზოგადოება) მამასახლის გრ. ჩავანავას თანხლებით ჩამოვიდნენ დ. აბაშაში ადვოლობრივ ბოქაულთან აუარებელი შიმშილისაგან ილაჯ-აწყვეტელნი მცხოვრებნი და ემუდარებოდნენ, შიმშილით ვიხოცებით და პური მოგვეკითო, ან რომელიმე სიმინდის ვაჭართან დავვიდექი თავებდა, რომ სიმინდი ნისით გვანდოსო. მამასახლისი ჩავანავა ორქოფობას იჩენდა.

— ს. ეწერში შიმშილისაგან გარდაიცვალა კუპრეიშვილი.

27 აპრილს ჩამოვიდა გუბერნატორისაგან ბ. გოკიოძე და ვანუცხადა მამასახლისებს, რომ თესლის სასყიდელად ფული უკვე დაუროვდა საზოგადოებებს საკვებ თანხიდან და მეტს არაფერს მიიღებნო. საკვები თანხიდან თითო ოჯახმა მიიღო არა უმეტეს 4 მან., ისიც ყველას არ მიუღია. ამ ფულით დამშუღლმა ხალხმა რამდენიმე დღის სახრო მიაშველა თავის ცოლ-შვილს.

საგუბერნო მთავრობას გაეგზავნა ასეთი დეპეშა:

„Жители Едери, Кодори, Цаликори, Сенакского уезда съ женами и детьми околоживаемся при участковомъ управленіи два дня, ничего не ѣли, просимъ хлѣба, никто не даетъ“. ხელს აწერენ სენაკის მაზრის მცხოვრებნი.

გურია.

დ. ჩოხატაური. სიმინდი ადვილობრივ აღარ იშოვება. ბევრი 8—9 სულიანი ოჯახი სამი დღეობით მშივრებია. მოუთმენლად მოკლიან დანაპირებ სიმინდს, მაგრამ ვეღორსებით კი? აჭაურ მცხოვრებთა ერთად-ერთი დამხმარე კოოპერა-

* იხ. ეჭრ. „კლდე“ № 18—1915 წ.

ტიული ფურცელი იყო, მაგრამ საუბედროდ ფეხელი მათაც გამოეცა.

აი დამწველთა მდგომარეობა! ეს უკვე შიმშილობა კი არა, ეს განადგურებაა შიმშილისაგან. არ არის გამკითხველი. არ არის ხალხი, რომელმაც უნდა ითოს საქმე დამწველთა დახმარებისა. და თუ რომელიმე დაწვეულს დახმარება, ვთქვათ, საქველმოქმედო საზოგადოება, ან კერძო პირი, მოისურვებდა დახმარების გაწევას, — იყიდა სადმე სიმინდს, ან პურს, მას არ შეუძლია იმის გადატანა დამწველ რაიონში, რადგან ამისთვის საკირთა ვაგონები, ვაგონები და ისევე ვაგონები. ვეკითხებით და ვთხოვთ, პასუხი კი ერთია: ვაგონები არ არის.

სანამ დაპარაკობენ ვაგონების შესახებ, ს. ეწერა შიმშილისაგან გარდაცვალებული კუბრევილი, ხოლო მრავალი ოჯახი ორ-სამ დღეობით არაფერს სკვამს.

ნუ თუ მართლა არ უნდა იყოს მიქცეული განსაკუთრებული ყურადღება ვისგანაც ჯერ არს, რომ რკინის გზამდგომის საკმაო რიცხვი ვაგონებისა და დამწველი ნახევარზე მეტი გუბერნია იხსნას განადგურებისაგან.

ნუ თუ ნახევარი გუბერნიის ამოწყვეტა უფრო ადვილია, ვიდრე რამდენიმე ვაგონის დათმობა ყოველ დღე?

სად არის ხსნა?

იქნება ეხლაც აღარა სჯერათ და ქართული პრესის შიში გაზვიადებულია მიზნით?

თ. კ.

ბ ა ა ს ი

საიმედო ციფირი.

ამ დღეებში დაბეჭდა საადგილ-მამულა კომისიის წლიური ანგარიში. წინააღიწერა პატარა, წინააღიწერა ერთის თვალის გადავლებით, შიგ ბევრი არა ჰყრია რა, მაგრამ თუ გულისხმად გადკითხვით ამ პატარა წიგნს, ფრიალ საყურადღებო ამბებს იხილავთ.

სული და გული ანგარიშისა ჩაქოვილია ერთს პატარა ციფირში. მაგალითად მხოლოდ მკვირის აუვლ-მეტი და ვეცდებით იგი უტყვი მტკიცელოთ.

ანგარიში ამბობს, რომ რვა წლის მანძილზე პართლ-კახეთის მკვირ-მა გლეხ-კაცობამ შეიძინა სკუთ-ებად 46,478 დესეტინა ტყე და ელ-მინდორი, ანუ ჩვენებურად 2,956 დღიური, თითქმის ასი ათა-

მოგვხსენებთ, რა გამძლე ხილია უჩინი ხელში საკუთრება. ეს ისაა, რამ თვით თემურ-ლენგიც ვეღარ დასწყევტს ამ ასი ათას დღიურს მისი სამშობლოს. უცხო თესლი ღარი გაიხარებს ამ ნიადაგზე, გახ-ება, დაიშრება და პირუტყვის სათვალად შეიქმნება, თუ ოდესმე ვინმე ავმა მთესველმა მოიწადინა იქ უცხო თესლის ჩაბნევა.

კოტა ასი ათასი დღიური შედა-ებით ქართლ-კახეთის ტერიტორიისთან, მაგრამ რა უყოთ, რომ კოტა, მინც ხომ შემატება და არა დანაკლისი. თუ ამ მცირე ხანს დღიური შეიძინა ქართლელმა და კა-ელმა, ცუდს და საძაგელ სოცია-ლურ-პოლიტიკურს პირობებში, ეგე-რი მღერტმა იპრიანოს და მეორე რვა წელიწადს ერთი ორად და სა-მად მეტი „დაისკუთროს“ და ხახა მშროლზე დასვას გარედან მოსული მტერ-მოყვარე.

არც თუ ძვირად დასჯდომია ჩვენს გლეხ-კაცობას შექმნილი ქონება. დესეტინა საშუალოდ უყიდნა 49 მანეთად და სამ კაპეიკად, დღიური ესე ორ თუმან ნახევრად. ყუბანის ოლქში, დასავლეთ და სამხრეთ რუ-სეთში დღიური ფასობს ამ ჟამად 100 და ოცდაათი თუმანი. სულ

ასი ათას დღიური ჩვენს გლეხებს გაუღიათ 2.278,847 მანათი. ნაწი-ლი ამ ფულისა უკვე გადახდილია, ნაწილი კი ვლად ადევს მამულს შედავითან პროცენტით. ათ თუმან ვალზე იხდიან 4 მან. და 50 კ. ეს ფული თანსაც სწყვეტავს და სარ-გებელსაც ისტუმრებს. ვალი ასეთის შედავითანის სარგებელით მძიმე ტვირთად არ დააწევბა გლეხს და ადვილად აიტანს მის სიმძიმეს.

შეძენილ მამულის, ღირებულობა სუდვის დროს გაღებული ფასით არ გაიზომება. სულ კოტა დესეტინა უნდა ვიანგარიშოთ ათ თუმანად და ღირს კიდევ ამ ფასად. თვით მყიდ-ველიც ასე აფასებს შექმნილ ქონე-ბას. მაშასადამე ამ რვა წელიწადს თითქმის ხუთ მილიონად ღირებულო ქონება იგლო ხელში ამერეთის გლეხ-კაცობამ.

წინად იმერი გვახარებდა მამულის შექმნით. მართა „ნადელის“ დასახ-სნელად რვა მილიონ მანათზე მეტი დახარჯა იმერმა და დღეს აგერ ამე-რიც სცილობს გვერდში ამოუდგვს და დაეწიოს თვის სისხლსა და ხორცს მამულის დასაკუთრებაში.

თუ რა ღრმად იკიდებს ფეხს ჩვენს გლეხ-კაცობაში აზრი საკუთ-რებისა, სჩანს იქიდან რომ ბატონ-ყობის გადავარდნის დროს—1864 წ. ქართლ-კახეთის გლეხ-კაცობას აღ-მოაჩნდა მხოლოდ რაღაც ექვსი ათასი დღიურის საბუთები. რუსების მოსვლიდან ჩვენში მთელი სამოცდა-ოთხი წელიწადი მხოლოდ ეს მკი-რე და საკრავი მამული შეიძინა საკუთრებად გლეხმა და აგერ ახლა კი, რვა წელიწადს, მისი სყიდვის უნარი ასი ათასი დღიურობით იზო-მება. იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ იმ ექვსი ათას დღიურში ნახევარზე მეტი იყო ბატონისაგან ნაწყალო-ბევი, ნაბოძარი, ნაჩუქარი, ან მი-ცემული მამა-ბაბის სულის სახად და შესანდობლად.

რაც ხანი გავა, უფრო მეტის სის-წრაფით იწარმოებს მამულის საკუთ-რებად შექმნის საქმე. ამის ნიშნები ცხადია და ეს საიმედო ციფირი—46,478-ც ამას მოგვითხრობს. თუ ჩვენი გამოღვივებული სოფელი შეს-ძლებს და მოახერხებს სამეურნეო კულტურის შეტანასაც სოფლად, მაშინ ფიქრი აღარ არის, ადვილად აიტანს კარზე მომდგარ ათას უბე-დურობას, სიდუხჭირეს, სიავს და უსამართლობას.

მაშ უკუვადოთ ბუზღუნის და ვიწუშოთ მხოლოდ „დღესა მას განკითხვისასა“ რომელიც კარს უკვე გვიკაკუნებს, უიარაღონი აღარ ვიქნებით და გვეცოდინება ჩვენი თავის თავის ფასი.

ა.—ლი.

ახალი ამბავი

ქ თ-დ კ. ა. მუხრან-ბატონის ხიკვლი-ლი. 19 მაისს გმირულად დალია სული გლეხების ბრძოლის ველზედ პორუჩიკმა სვეტიცხოვანის ცხენოსანთა პოლკისა, ფლი-გელ-ადიუტანტმა მათი იმპერატორებითი უდიდებულესობისა თავადმა კონსტანტი-ნი ალექსანდრეს ძე მუხრან-ბატონმა განსვენებული დაბად 9 მარტს 1889 წ. მეუღლედ ჰყავდა ასული დიდი მთავრისა კონსტანტინე კონსტანტინეს ძისა—ტა-ტიანა. პაეთა კორპუსი გაათავა 1910 წ., 1913 წელს უბოძეს ფლიგელ-ადიუტან-ტობა. ომში დაჯილდოვებულ იქნა წმ. გიორგის ოქრის იარაღით.

დღეს თბილისში საღამოს 6 საათზე, ქვაშეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, გა-დხადლ იქმნება პანაშვილი. ცნობა მოვიდა, რომ თ-დ კ. ა. მუხ-რან-ბატონის გვამს მოსვენებენ საქარ-თველოში მცხეთის სვეტი-ცხოვლის ტა-ძარში დასაკრძალავად.

საქართველოს ეგზარხოსმა, ყოვლად სამღვდელთა პიტომირმა, შემდეგი დეკრეტი მიიღო მისი უმაღლესობის კნ. ტატიანა კონსტანტინეს ასულის ბაგრატიონ-მუხრან-ბატონისაგან, „ჩემი ქვრის ცხედარს, თანახმად გან-სვენებულის ანდერძისა, მოვასვენებთ მცხეთას დასაკრძალავად საგვარეულო აკლდამაში. ესთხოვ თქვენს ყოვლად სა-მღვდელთა მღვდელსა შეუსრულოთ უქანსკენელი ქრისტიანული წესი საქართველოს მამაც შეილს. ცხედრის მოსვენებას თავის დროზედ შეგატყობინებთ.“

საქართველოს ეგზარხოსმა ყოვლად უსამღვდელთა პიტომირმა პასუხად შე-მდეგი დეკრეტი გაუგზავნა: „თქვენს უმაღლესობასთან და ივერის მთელ სამწყსოსთან ერთად დავსტერი გვირს კონსტანტინე ალექსანდრეს ძის გარდაცვალებას და ჩემს წმინდა მოვა-ლეობად ვრაცხ აღვასრულო სურვილი თქვენი უმაღლესობისა. შეუსრულდეს უკა-ნასკენელი წესი მცხეთის ტაძარში დიდი ხელმწიფის ერთგულ მოსამსახურეს, მა-მულის დამცველს და სამშობლო საქარ-თველოს სიამაყეს.“

თხოვნა დახმარებისა. კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოება სთხოვს მიწად მფლობელობისა და მიწად მოქმედების მინისტრს 38,473 მანეთს სხვა და სხვა აგრონომიულ ღონისძიება-თა განსახორციელებლად ამიერ კავკასია-ში 1916 წლის განმავლობაში.

მარშლის არჩევა. ქართლ კახეთის თავად-ანგარეთა მარშლების და დეპუ-ტატების არჩევნები ამ თვის ბოლოს მოხდებდა. ორი მიმართულება დაიბადა თავად-ანგარეთა შორის. ერთი მომხრე არჩევნების გადადებისა, მეორე—უსა-თუოდ არჩევისა. ეს კითხვა გადაწყდება მომავალ კრებაზე. სხვათა შორის არჩე-ვნების მომხრენი ასახელებენ მარშლად გ. დ. ქურულს.

ქალაქების მოღვაწეთა კრებებზე დასასრულებლად გუშინ მრავალი დღეევა-გატი ჩამოვიდა კავკასიის სხვადასხვა კუ-თხიდან. სხვათა შორის ჩამოვიდა ჭიათუ-რის შავი-ქვის მრეწველთა საბჭოს წარ-მომადგენელი კიტა აბაშიძე. კრებას მრავალი მოხსენება წარედგინება განსა-ხილველად. ჟიურველსად კრება მოისმენს გ. დ. ქურულის მოხსენებას შემდეგი სა-თაურით: „ქალაქის ფინანსები და ომი.“

ქალაქების მოღვაწეთა კრება. დღეს დილის თორმეტ საათზე, არტის-ტიულ საზოგადოების საკონცერტო და-რბაზში გაიხსნება სდღამა კავკასიის ქა-ლაქების მეოთხე კრებისა. კრება 3-ს დღეს გასტანს.

აქარაში რომ მოსავალმა უქმად არ ჩაიაროს მშ ადგილებში, სადაც წი-ნად ოსმალნი იყენენ გამაგრებულნი და მცხოვრებნი კი დაფანტულია, გენერალ-გუბერნატორის ბრძანების თანახმად, პუ-რისა და ხეხილების მოკრეფის ნება ზე-მოაღნიშნულ რაიონში უშლევათ აქარის მცხოვრებთ განსაკუთრებულ პირობებში.

„ახალი ქართლი“. ვახტოი „ახა-ლი ქართლი“ რომელიც გამოდიოდა ქ. გორში კვირაში ორხელ, 26 მაისიდან გამოვა ყოველ-დღიურად.

წყალი, რადგან კვირა-უქმე დღე-ობით წყლის საჭიროება ერთობ დიდა იმ უბნებში, საცა მცხოვრებლებს წყალი არ აქვთ გაყვანილი სახლებში, ქალაქის გამგეობამ განკარგულება მოახდინა წყლის კრანები მუშაობდეს დილის თორმეტ სა-თამდე უქმე დღეებში.

შეპარი. ქალაქის გამგეობას შე-კვეთილი აქვს ოდესაში ოცდა-ხუთმეტე ვაგონი შეპარი, მაგრამ ვაგონების უქონ-ლობის გამო შეპარის გამოგზავნა გვიან-დება, ამიტომ ქალაქის მოურავი ალ. ი. ხატისცივი სთხოვს თბილისის გუბერნა-ტორის იზომის რამე და დააჩქარებინოს დაკვეთილი შეპარის გამოგზავნა.

სანოვანე. 22 მაისს მოიტანეს თბილისში: ფეხელი 22 ვაგონი, ხორბა-ლი 1 ვაგ., ბრინჯი 6 ვაგ., მარლი 3 ვაგ., ახალი ხილი 1 ვაგ., ქერი 2 ვაგ., შებ 13 ვაგ., ნახშირი 9 ვაგ., ხე-ტყე 2 ვაგ., ღვინო 1 ვაგ., მაკარიონი 141 ფუთი, მწვანელი 113 ფუთი და სხვა სანოვანე 168 ფუთი.

თესლეულობის უფასოდ დარი-გება. მიწად-მოქმედების დეპარტამენტმა 200 მანეთი გამოუგზავნა კავკასიის სა-სოფლო-სამეურნეო საზოგადოებას. ამ ფულით უნდა შეიძინოს საზოგადოებამ სხვა და სხვა ჯიშის თესლეულობა და უფასოდ დაურიგოს სახალხო და სამრეე-ლო სკოლებს და იმ გლეხებს, რომლე-ბიც ბალახის თესვა-მოყვანას მისდევენ.

აისორთა დახმარება. ომიანობისა-გან დაზარალებულთა დახმარებ საეპარ-ქიო კომიტეტის თავმჯდომარემ, საქარ-თველოს ექსარხოსმა, ყოვლად სამღვდე-ლთა პიტომირმა, კავკასიის მთავარ კომი-ტეტისაგან მიიღო ათი ათასი მანეთი გა-მოქმედულ აისორთა დასახმარებლად. რიცხვი აისორთა თბილისში ამ ჟამად 1500-მდე აღის; წინათ კი 3000 ითელე-ბოდა, მაგრამ ზოგი მათგანი სამშობლო-ში (სპარსეთში) დაბრუნდა, ხოლო ზო-გი სხვაგან წავიდა. მთავარი ბინა ლტოლ-ვილ აისორებისა იყო ბაბა-ვიგაზოვის სახლში, ნაძალადევიში, საცა შავმა სახა-დაც იჩინა ერთ დროს თავი, მაგრამ ლტოლვილთა დახმარებ კომისიამ ისინი სხვა ადგილას გადაიყვანა, მათი ცხოე-რება გააუმჯობესა და სახადიც მოისპო.

ქართულ კულტურის მოყვარულ-თა საზოგადოების მორიგი კრება გაი-მართება სამკურნალო საზოგადოების დარბაზში დღეს, საღამოს 8-ზედ შვიდ ნახევარ საათზე. კრების წეს-რიგი: 1) ქარ-თულ კულტურულ დაწვებულებათა კავშირში შესვლის საკითხი; 2) სხვა მო-რიგი საქმეები და 3) ბ. პეტრე ბესარ. კიხიას მოხსენება ქართულ კანონდებ-ლობაზე (მეფე ვახტანგის კანონები). ეს კრება უქანსკენელი იქნება.

საბალახო სკოლაში შეგირდების გამოცდა უქანსკენელ მესამე კლასში დაი-წყება 26 მაისს და დამთავრდება 5 სექ-ტემბერს.

სეირნობა ლატარია-ალეგრიო. ქ. შ. წ.-კ. გამ. საზოგადოების გამგეობა 7 იე-ნისს მართავს ახალი კლუბის ბაღში სა-ხალხო სეირნობას ლატარია-ალეგრიო.

ამ საქმის მოწყობა მინდობილი აქვს ნინო ნაკაშიძეს, რომელმაც ამისთვის ორჯელ კრება გამართა. კრებაზე მიწვე-ულნი იყვნენ უმეტესად ქალები, რომე-ლნიც მსურვალე თანაგრძნობით მიეგებ-ნენ ამ კეთილ საქმეს. კრების წევრებს დაურიგდათ განსაკუთრებული ფურცლე-ბი ლატარია-ალეგრიო შემოწირულებათა შესაკრებად. შემოწირულებანი უკვე გროვდება. სეირნობის დროს ბაღში გა-მართული იქნება ბავშვებისათვის გასარ-თობი განყოფილება, რომლის მოსაწყო-ბათ ცალკე კომისია არჩეული და ამ კო-მისიაში შედიან ანა ჩორვაძე—შარვა-ძისა, თამარ კარბელაშვილი და ილია ნაკაშიძე. ბუფეტის მოწყობა დავალებული აქვთ ენ. ნ. კ. ჩოლოყაშვილისას, „ფოს-ტის“ მოწყობა დაეკისრა ა. გ. ქიქოძეს, რომლის დასახმარებლად აზრად აქვთ მიიწვიონ ცნობილი ქართველი რუმორის-ტები. ბაღში შესვლა ელირება მოხდილ-თათვის ექვსი შაური, ბავშვებისათვის სამი შაური.

„ოტელი“ სახაზინო თეატრი. დღეს სახაზინო თეატრში წარმოდგენილი იქნება შექსპირის ტრადედია „ოტელი“. მთავარ როლს იტარებენ ნიქიერი მსახიობი ალ. იმედაშვილი, რომელმაც ამას წინად ეს როლი იმედაშვილსა სახალხო სახლში და დიდი მთაბეჭდვით მოახ-დინა.

ქართული წარმოდგენა ქ. გორში. ამ თვის დამდეგს ქალიქ გორში ქართვე-ლი მსახიობნი ვალ. გუნიას და ტასო აბაშიძის მონაწილეობით წარმოადგენენ „გახეხულის ნიაღვრის“.

ზუბალა-სიღობის სახალხო სახ-ლში ორშაბათს, 25 მაისს, წარმოდგენი-ლი იქნება ლ. ანდრეევის დღენი ჩვენი ცხოვრებისა. დრ. 4 მოქ. თარგ. ელიო-ზიშვილისა.

საბავშვო დღია. ქ. შ. წ. კ. სახალხო კითხვების სექციის მინდობილობით, დღეს დილის თერთმეტ საათზე, საბურთალოს სახალხო სახლში, ქორქაძის შენობაში, ილია ნაკაშიძე მართავს საბავშვო დღილას დილას ბუნდოვანი სურათებით. შემდეგ ვარ. ბურჯანაძე წაიკითხავს საქართვე-ლო რუსეთთან შეერთების ისტორიას, ხოლო შალვა ქარუმშიძე წაიკითხავს ნა-წყვეტებს მსოფლიო ისტორიიდან.

ახტალის აბანო (კახეთში). საავად-მყოფოს უფროსმა ექიმმა ბ-ნმა სნარსკიმ სთხოვა ომში დაჭრილთა აღმასრულებელ კომისიას, რათა მან გამოიკვლიოს მკურ-ნალობითი მნიშვნელობა ახტალის ტა-ლახისა. კომისიამ დაადგინა თითონ სნარ-სკის მიენდოს ამ საქმის შესრულება.

გამოფენა. 24 და 25 მაისს, ქარ-თველ ქალთა ამხანაგობის სკოლაში გა-მოფენილი იქნება გამოფენა ხელსაქმე-კაბები ბავშვებისა და ქალებისა, საცვა-ლი და ოჯახის სასამშენებლო აბრე-შუმის ძაფით ნაქარგი ნივთები. სკოლის გამგეობა იმედოვნებს, რომ ქართველი საზოგადოება ყურადღებას მიაქცევს ამ გამოფენას და თავის კრიტიკით და თა-ნაგრძობით ხელს შეუწყობს ქალთა სა-ზოგადოების საქმის უკეთესად მოსაწყო-ბად და განსაფიქრებლად. გამაანთ ქუ-ჩა, № 3.

მალარია და ეროზა. პიროგოვის საზოგადოებამ გამოუგზავნა სრულიად რუსეთის ეროზათა კავშირის კავკასიის განყოფილებას ათი ექიმი და ოცი ფერ-შლები. ეს ექსპედიცია შეებრძოლება ციებ-ცხელებას, რომელმაც უკვე იჩინა თავი კავკასიის ფრონტზე მომქმედ ჯარ-ში. ექსპედიციის ხარჯი ნაკისრები აქვს ეროზათა კავშირის კავკასიის განყოფი-ლებას.

ს. მ. ც. ხ. მ. თ.

როგორც ეტყობა, მთავრობასაც შეუ-გნია არაგვე ხიდის საჭიროება ს. მცხე-თის მიდამოში. ამ თვის 19-ს თბილისი-დან ამოსულმა ინჟინერთა კომისიამ დაა-თვალეს რა ის ადგილები არაგვეზე, საცა შესაძლებელია ხიდი გაიდოს. გაშინჯეს ორი ადგილი: მცხეთის პირდაპირ, არა-გვის ბოლოში, ანდრიატან, სადაც უწი-ნაც იყო ხიდი და მეორე—ორ ვერსს ხევით, ე. წ. ბებრის ციხესთან.

აშუთისი.

არჩევნების გარშემო. 30 მაისს აქ უნდა მოხდეს ქუთაისის საურთიერთო ბანკის თავმჯდომარის არჩევანი. თავმ-ჯდომარედ ასახელებენ ცნობილ ჩვენს ახალგაზრდა ფინანსისტს რაქვან დანთე-შიძეს. ამ აღმანიის ღირსება ქართველ უინანსისტების წრეებში ექვს გარეშე უნდა იყოს. მოვიგონოთ, რომ იგი არის ერთი დამარსებულთაგანი მომავალ სა-კომერციო და სამრეწველო ბანკისა. მი-სი მოღვაწეობა ქუთაისის ბანკში, რაც იგი დირექტორად არის, მეტად სასარ-გებლო გამოდგა. ბანკის საქმეში წინ წაი-წია, ბანკის კლიენტურამ ფერი იცვალა მრავალ ვაჭარ ხალხს შექმნით არა მარ-ტო ქუთაისისას, არამედ თბილისიდანაც.

შემოწირულება.

აქარლების სახარგებლოდ რედა-ქციამ მიიღო მამა არხანდრიტ ნაზარი-საგან—25 მანეთი, სერგო ჭიკაბერიძე-საგან—3 მანეთი სულ 28 მანეთი.

მ ბ რ ი-ზ ჭ ე

(მცირე შენაშენა)

ამას წინად, ომიდან მოსულ დეკემბე-ში რამდენჯერმე იყო მოხსენებული ეს სიტყვა „კარი-ბეჭე“. ზოგ დეკემბეში არე-ულად იყო, გარდაამხინჯებული, ზოგში კი, მკაფიოდ ეწერა რუსულად კარი-ბეჭეო, კარი-ბეჭე მივადექით სამხედრო გემებით და დაუწყეთ სროლა ყუბარებითო. აღ-დგილ-მდებარეობაც კარი-ბეჭეი გარკვე-ით იყო მოხსენებული, ბოსფორის შე-საბუღობაზე, ადამოსავლეთის მხრიით.

ცხადია, ყოველი ჩვენებური მკითხვე-ლი დეკემბისა—და დღეს აუარებე-ლია ამისთანა ქართველი—დიდის ხალი-სით ამოიკითხავდა ამ ძირეულ ქართულ სიტყვას და გაოცდებოდა, პირ-კიტა ეცემოდა, რა ექნა, ბოსფორის ნაპირად საიდან გაჩნდა ასეთი ადგილი, ასეთი ჭუნქტი, რომელსაც ქართული სახელი დარქმევიაო.

მართლაც საოცარია, მაგრამ ადვი-ლად ასახსნელი კია ეს გარემოება. საქ-მე ის არის, რომ ოდესმე, ძველად ამ ათასის წლის წინად და კიდევ უფრო ადრე საქართველოსა და ბიზანტიის შო-რის დიდი ურთიერთობა არსებობდა, თუ პოლიტიკური და თუ სარწმუნოებრივი. კონსტანტინოპოლი, სამეფო ქალაქი ბიზანტიის იმპერიისა, საცა იყო ქარ-ველებითა, მეტადრე მაშინ, როცა იქ მეფობდნენ ესრედ-წოდებული მაკედონი-ის დინასტიის მეფენი, ჩამომავლობით სომეხნი, ხოლო სარწმუნოებით მართლ-მადიდებელნი და სულიერნი შეიღნი სა-ქართველოს ნეკლესისანი ქალკედონი-ტები.

ეს ქართველნი დიდ გვირგვინებიც იყ-ვნენ, მხედარნიცა: საზოგადოდ, ერისა-განნი და სასულიერონიცა. ჩვენ ვიცით

ყომ ბიზანტიამ არსებობდა ისეთი დიდებული საეპისკოპოსო, როგორც იყო ათონის ივერიის მონასტერი, საცა ერთხანად ძმათა რიცხვი სამი ათასამდე აღიწია. ვიცით აგრეთვე, რომ ქართველთაგან მონასტერი არსებობდა მაკედონიაში, ბოლგარიის სამხრეთურ და ევროპულ მონასტერს, პეტრიწონელისა ბაქოვის მონასტერი, დაარსებული დიდ-გვარია-ნის კარის-კაცის ბაკურის მიერ, ტომის სომხის, ხოლო სარწმუნოებით მართლმადიდებლის მიერ. ამ მონასტერში აღიზარდა და განვითარდა ქართველი ფილოსოფოსი, ნეოპლატონიკოსი იოანე პეტრიწი.

კარი-ბეკო?—იკითხავთ. ეგ კარი-ბეკო რაღა იყო? ეგ კარი-ბეკო მონასტერი იყო, ქართველთაგან დაარსებული, კონსტანტინეპოლიდან რამდენსამე ვერსის მანძილზე, როგორც ჰკონებენ ჩვენი მცენიერი ისტორიკოსები, წმ. ილარიონ ქართველის მიერ.

როცა იმპერატორმა ბასილ I-ლმა (868—886) გაიგო ვანზარხვა ილარიონისა და მისთა მოწაფეთა მონასტრის დაარსებისათვის, სთხოვა წმიდა მამათა, რომელი მონასტერიც გნებავდეთ კონსტანტინეპოლში, ის ინებეთ და იქ დამკვიდრდითო. მაგრამ ეს არ ისურვეს. პოი, მეფეო!—მოახსენეს იმპერატორს წმიდა მამათა: შეუძლებელია ჩვენ, ქართველები დავეფულოთ სხვის აგებულს შენობას, სხვის, ჩვენთვის უცხოთა ნაღვაფთა და ნაოფლარსაო; ჩვენ დავეფულოთ და ისინი კი განვდევნოთ, ვინც იქ მკვიდრობენო. ამით ხომ, ლოცვა-კურთხევის მაგიერ, თქვენს მეფურს უდიდებულესობას წყვეთ-კრულვით მოიხსენებენ. არა, მეფეო, ნუ იყოფინ ეგეო.

ამიტომ ამბობდა კონსტანტინეპოლის პატრიარქი ფოტი ამ ძმათათვის: „ქე-შმარიტად, სულიერნი საუნჯენი არიან და მარავე ვერას დააკლებს იმათაო.“ ილარიონის მოწაფეებმა ააშენეს თავიანთის ახალი მონასტერი ერთს უდაბურს ხშირის ტყით დაბურულს ადგილას, შავის ზღვის პირად, სწორედ იქ, საცა ბოსფორის სრუტე იწყება, იღება მისი კარი და ბეკე.

როცა საძირკველი მონასტრისა ჩაჰყარეს, თვით იმპერატორმა ბასილმა მიიტანა პირველი ქვა საძირკვისათვის. ამავე მონასტერში მეფემ აიშენა თავისთვის ოთახი, გამართა საწოლი, მოაწყო წიგნთსაცავი და სოქვა: ეს იყო სამყოფელი ჩემი მახლობელად მონასტრის ამის ღირსთა მამათა თანაო, რათა ლოცვითა მათითა არა განმრავლდეს ცოდვანი ჩემნიო.

ამავე მონასტრის ძმათა კრებულს მიუყვანა იმპერატორმა თავისი ვაჟიშვილები ლეონი და ალექსანდრე, ჩაბარა და უბრძანა: „ილოცეთ მათთვის, წმინდანო მამანო, და ასწავლეთ წერა-კითხვა და ენა თქვენი, რათა სულიერ შეილაღებოდნენ და ლოცვათა თქვენთა ძედ იწოდებოდნენ.“

ყოველ ამის შემდეგ მკითხველი მიხედება, რა ყოფილა ოდესმე კარი-ბეკე, რომელსაც კანტი-კუნტად იხსენიებდა ომიდან მოსული დეპუტები ამ რამდენისამე ხნის წინად და თან, რა სახელი და გავლენა ჰქონია შორეულს წარსულში თვით ქართველთა ერს ბიზანტიის დიდებულს იმპერიაში.

მოდით და დიდის გულის-ტყვილით ნუ იტყვი, რანი ვყოფილართ ოდესმე და რანი-ღა ვართ ეხლა!..

გრ. ყოფიძე.

გეგანახეთა გაჭირვება

ნაცრისა და ობის—წამალი—გოგირდი და შაბიამანი მოდიოდა უმთავრესად ინგლისიდან, საფრანგეთიდან და იტალიიდან. ომის გამოცხადების შემდეგ ხსენებულ მასალის შემოტანა შესწყდა და ჩვენი მეგნახენი დიდ გასაჭირს განიცდიან. ვენახების რაოდენობა დაახლოებით უდრის: თბილისის გუბერნიაში 82,485 დესეტინას, ქუთაისის გუბერნიაში 20,000 დეს., სოსუმის ოლქში 3,098 დეს.; ბათუმისაში 1,496 დეს. და ზაქათალისაში

778 დეს.; სულ მთელ საქართველოში ითვლება 57,857 დესეტინამდე. რიგიანად თუ ნორმალურად ვუწოდებთ, ამ ვენახებისათვის საჭიროა წლიურად 80 ათასი ფუთი გოგირდი და 100 ათასი ფუთი შაბიამანი, 1913 წელს მოტანილი მასალიდან მიმდინარე სეზონისათვის დარჩა: გოგირდი 25 ათას ფუთამდე, ხოლო შაბიამანი 25 ათას ფუთამდე, ე. ი. ერთი მესამედი იმისა რაც საჭიროა. ამ გარემოებით ისარგებლეს ჩარჩებმა და საშინლად ასწიეს ფასები: წინად ფუთი გოგირდი ცხრა აბაზს არ ასცილებია, ეხლა კი აფასებენ 16 მანეთს; შაბიამანი ფასობდა 4 მან. 50 კ., ეხლა კი აფასებენ 23—30 მანეთს. მაგრამ ათი თუმანიც რომ მისცენ, წამალი მხოლოდ ერთ წამლობას ეყოფა, შემდეგ-კი ვენახები დარჩება ღვთის ანაბარად.

ჯარში გასაწვავ სტუდენტების საუბრალებო

შინაგან საქმეთა მინისტრმა ასეთი ცირკულიარი გამოცა მოსწავლეთა შესახებ:

ჯარში გაწვევას დააცლიან: 1) კურსის დამთავრებამდე უმაღლეს სასწავლებლის იმ მოწაფეებს, ვინც 1915 წლის გაზაფხულზე კურსის გათავების მოწმობას მიიღეს და მოისურვეს ჩააბაროს სახელმწიფო გამოცდები ამავე წლის გამოცდების სესიაში.

2) ვინც გაათავა საშუალო სასწავლებელი და მსურს განაგრძოს სწავლა უმაღლეს სასწავლებელში, მან უნდა შეიტანოს შესაფერი განცხადება სამხედრო საკრებულოში, რომელშიც არის მიწერილი, და 1 ოქტომბრამდე ამა წლის ჩაერიცნოს რომელიმე უმაღლეს სასწავლებელში. თუ ეს არ იქმნა შეტრულებული, ჯარში გაიწვევენ.

3) 1915 და 16 სააკადემიო წლის განმავლობაში არ გაიწვევენ ჯარში იმ მოწაფეებს საშუალო სასწავლებლებისას, რომელთაც შემოხსენებულ სააკადემიო წლის განმავლობაში 24 წელი შეუსრულდებათ. იმ მოსწავლეებს უმაღლესი სასწავლებლისას, რომელთაც უსრულდებათ 27 წელი დაბადებიდან, ხსენებულ სააკადემიო წლის განმავლობაში თუ ეს მოსწავლე 4 კურსიან ფაქულტეტზეა და 5 კურსიან ფაქულტეტზე, მაშინ 28 წლისათა შეუძლიან ისარგებლონ ამ კურსით.

ამ შეღავათით შეუძლიან ისარგებლოს იმ სათადარიგო ჯარის კაცთაც, ვინც ამ წამად ირიცხება უმაღლეს სასწავლებლის მოსწავლეთ.

ცირკულიარის შეღავათი არ შეეხება თავისუფალ მსმენელებს.

თეატრი

18 მაისს, სახალხო სახ. ქართ მსახ. ამხანაგობამ წარმოადგინა ვ. შალიკაშვილის პიესა „გადაჭრილი მუხა“. პიესის ავტორიანობაზე ვაკვრით მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ რეჟისორობა და მეტისმეტი უმოქმედობა ამ პიესას სრულებით უკარგავს სასცენო მნიშვნელობას. ადგილები ზოგან შეუწყარბებელია: არსებულ მასალის გაკრიტიკება შეიძლება ათასგვარი საშუალებებით, უფრო ფაქიზად. ავტორი კარგს იზამს, თუ თვითონვე ამოშლის ეულგარ ადგილებს, ამით პიესაც არ გაკვირდება და მისი წარმოდგენაც სიწითლეს არ მოჰგვრის მაყურებელს.

არც თამაში იყო მაინც და მაინც სახარბიელო. სავალდებულო როლებიდან წესიერად ასრულებდნენ ი. ზარდალი-შვილი (ნიკო), ა. იმედაშვილი (გოლა), ა. ქიქოძის ასული (ქვიცი კატო). აი ეხლა თამაზად შეიძლება ითქვას ამ უკანასკნელზე, რომ თუ შრომას გასწევს, ნაყოფსაც მიიღებს. თამაში მისი საქმოდ აკმაყოფილებდა მაყურებელს. თავისუფლად თავის დაქვრა, ძალდაუტანებლობა და რაოდენადმე მაღალ წრის ფუქსავატ ქალის მანერები მას აძლენინებდა კიტოს ტიპის შექმნას.

კორიშელიც თავაზიანი გიგლა იყო. სრულებით არ მოგვეწონა ნ. გამრეკელ-თორეგის ნინო. არ ვიცით, თუ მაინცა და მაინც ასეთი ტიპი იქნებოდა სოფელი ჯანსაღობით სავსე მომხიბვლელი ნინო, მაშინ როგორღა შესძლებდა თავადიშვილი ნიკო, ამ განათლებულ და ფაქიზ ადამიანის გულის მონადირებას?

ვერაფერი თავადი დავითის ტიპი წარმოვიდგინა ბ-ნმა ვ. აბაშიძემ. თამაში

მისი თავიდან ბოლომდე მარჯი იყო, კარიკატურა. შარქსა და კომედიის შუა კი, როგორც თვითონ მსცოვან მსახიობს მოეხსენება, ფრად დიდი განსხვავებაა.

სამაგიეროდ მოხდენილი სოფელი ბიჭი იყო ტასო აბაშიძის ასული. როცა ადამიანი თავის სფეროში ჰგრძობს თავს, თქმა არ უნდა, სრული გამგებელი იქნება მისი.

თუ ვერაფერი სახარბიელო იყო „გადაჭრილი მუხა“, სამაგიეროდ ყოველად უმზავესი გამოდგა „ლევან ბატონიშვილი“ სცენაზე დადგმა. ამ პიესის შინაარს ყველა იცნობს: ავტორმა ავად თუ კარგად თვალწინ გადაგვიშალა სურათი სასახლის გაგრწილი ცხოვრებისა: გარყენილება, ლაღატი, დაუნდობლობა... სკოლა სადრამო ტენიკისა ძველის ძველია, შეიძლება ითქვას, არქაული. მოქმედი პირნი სცენაზე შედი-გამოდიან მხოლოდ იმიტომ, რომ ავტორს ასე ჰსურს, როგორც ამას სჩადიოდნეს ცრუ კლასიკი. არაა ბუნებრივი განვითარება. არაა სადრამო ხელოვნების მანერა. თვით მოქმედ პირთა განვითარება არ მოხდა ნორმალურ საზღვრებში: გადაჭარბებული ვნებებით, ან გადაჭარბებული მხარტი გრძობებით დაუხატია თითო მათგანი. საზოგადოდ ჩარჩო უფერულია და ერთად ერთი დიდი ღირებულება ამ პიესისა გახლავთ მშვენიერი ქართული ენა.

მაგრამ თუ პიესის დადგმა არც ისე სახარბიელოა ჩვენი სცენისათვის, თუ მსახიობთა ამხანაგობა „სობრის“ გულისთვის გამოამზებურებდნენ მას, ეს კიდევ უფლებას არ აძლევს მათ, რომ ხალხის ნდობას ასე უდიერად მოეპყრან. მართლაც, რა იყო, ან რას წარმოადგენდა ამ პიესის თამაში? რა სახელწოდება უნდა მიეცეთ? ის სამიოდე მოქმედება, სადამდინაც შეეძელით ნერვების შეკავება, სრული გაწამება იყო საზოგადოებისა. მართალია, ზარდალიშვილის არჩილი და ივანძის გიორგი საკმაოდ თავაფულად თამაშობდნენ, მაგრამ საზოგადო ანსამბლის დაუცველობა, თითქმის დანარჩენ მსახიობთა მიერ სიტყვების ძებნა, უდაგილოდ შეჩერება, ინტერვალები, თვლების დაქუცვა, როდესაც სხვის სიტყვას გამოსტაცებდა და ენაზე იკვებდა, ნუ თუ ეს ჩემი სათქმელი არ იყო, ქ-ნ ქიქოძის დარეჯანის მიერ უშნო ლულული, ფრაზების არევა, იმედაშვილის ლევანის მიერ სიტყვების გაბრტყელება და ამ ბრტყელების დროს ბრტყელადვე ხელების ტლანქი ქნევა და უდაგილო ადგილს შეუფერებელი დრტვივა, —ყოველისფერს აღმებტებოდა. ახლა ამას დაუმატეთ საციკო და ყოველად შეუწყარბებელი და ხელოვნების შეურაცხყოფელი ისეთი ტლანქი საშუალებანი რეალიზმის დასაცავად, როგორც არის თოუ-ზარბაზნის გრიალი და მაშინ მიხედვით, თუ რას ნიშნავს ალვირ-წახსნილი სილაღე, რას ნიშნავს კანდიერება და საზოგადოების აბურად ავლება, როდესაც უბრალო ტაშის დაკრახზე გაუწითლებელი ფარდას სწევენ და კიდევ თავის დასაკრულად გამოდიან!

ქეშმარიტად, ჩვენი დასი ასე გამარჯვებული არსად გვიხახავს. ემა! წარმოტება და წინსვლა სწორედ ამასა ჰქვია!

დ. კ-ძე.

რედაქტორ-გამომცემელი
სანდრო შანშიაშვილი

კახეთის რეინის გმ-ს მიმოსვლა
(დრო აღვილობრივ საათით არის ნაჩვენები)

თბილისიდან გადის: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით; უკან ბრუნდება: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

თბილისიდან გადის:

თბილისიდან	8 ს. 13 წ. დღ.
ნავთლულ-ამიერ-კავ.	8 „ 40 „ „
ნავთლულ-კახეთ.	8 „ 58 „ „
ვაზიანიდან	10 „ 06 „ „
ივრიდან	11 „ 15 „ „
საგარეჯოდან	11 „ 58 „ „
ბაღდათიდან	12 „ 56 „ „
მელაანიდან	2 ს. 16 წ. საღ.
გურჯაანიდან	3 „ 37 „ „
კარდნახიდან	4 „ 12 „ „
წნორის-წყალზე	4 „ 44 „ „

გურჯაანიდან-თელავამდე № 7.

გურჯაანიდან	3 ს. 42 წ. საღ.
ვაჩნაძიანიდან	4 „ 33 „ „
თელავში	5 „ 27 „ „

თბილისისკენ მოდის:

წნორის-წყლიდან	8 ს. 58 წ. დღ.
კარდნახიდან	9 „ 41 „ „
გურჯაანიდან	10 „ 24 „ „
მელაანიდან	11 „ 39 „ „
ბაღდათიდან	12 „ 59 „ დღ.

საგარეჯოდან	2 „ 08 „ „
ივრიდან	2 „ 50 „ „
ვაზიანიდან	3 „ 55 „ „
ნავთლულ-ამიერ-კავ	5 „ 13 „ „
თბილისში	5 „ 28 „ „

თელავიდან-გურჯაანამდე № 8.

თელავიდან	8 ს. 54 წ. დღ.
ვაჩნაძიანიდან	9 „ 25 „ „
გურჯაანში	10 „ 07 „ „

ამიერ-კავკასიის რეინის გმის მიმოსვლა.
(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

თბილისში მოდის:

№ 3 ბაქოდან	12 ს. 54 წ. დღ.
№ 4 ბათმიდან	5 ს. 55 წ. საღ.
№ 5 ბაქოდან (სწრაფი) 7 ს. 41 წ. საღ.	
№ 10 ბათმიდან	9 ს. 51 წ. დღ.
ჯულფიდან	6 ს. 53 წ. დღ.
ბორჯომიდან	7 ს. 25 წ. დღ.

თბილისიდან გადის:

№ 3 ბათმისკენ	1 ს. 45 წ. დღ.
№ 4 ბაქოსკენ	7 ს. 3 წ. საღ.
№ 6 ბაქოს (სწრაფი) 12 ს. 8 წ. დღ.	
№ 9 ბათმისკენ	8 ს. 53 წ. საღ.
ჯულფისკენ	10 ს. 23 წ. საღ.
ბორჯომისკენ	3 ს. 29 წ. დღ.

თავის ბრძვალნი
ამ. კეგელიძეები
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9, ტელეფონი № 712.
განყოფილება სვლასარში
კახეთის ქუჩა, საკუთ. სახ. № 7, ტელეფონი № 712.
ყოველდღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „**ლილიონის-ფიტი**“. სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილა**, მცირე მარილიანი, შავი „**მეშხინი**“ ხიზილა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო. გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინები რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

წიგნის მაღაზია
„ახალი სიტყვა“
(„**НОВАЯ РЪЧЬ**“.)
თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.
გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნი; ვკისრულობთ ყოველნაირ მძებრივ და შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საზაფხოს და სხ.
განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქგარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში.
(წ.—1)

მიიღება ხალის მოწარა
1915 წ. ენკენისთვიდან გამოვა სალიტერატურო, სამეცნიერო და საპოლიტიკო თვიური ჟურნალი
„ახალი მოაზრება“
ჟურნალში უმახლობლეს მონაწილეობას მიიღებს ივანე ს. ელიაშვილი, თანამშრომლად მოწვეულია ყველა ჩვენი ცნობილი მწერალი.
დასაბუქლად მოწონებულ ნაწარმოებთა ავტორებს მიეცემათ შესაფერი ჰონორარი.
ჟურნალი პარტიათა გარეშე იდგება და პროგრესულ-დემოკრატიული მიმართულების იქნება.
პირველი ნომერი გამოვა ენკენისთვის 20—25-ს, ზომით 15—20 ფორმამდე რედაქციის ბინა: თბილისი, ყაზბეგის ქუჩის შესახვევი, № 4. ფოსტით: Тифლის, ред. груз. журн. „Ахали Моამბა“.
ფასი: წლიურად—10 მან., ნახევარი წლით—6 მან., ხოლო ამა წლის ენკენის-თვიდან ქრისტეშობისთვის გასვლამდე—4 მან.
ფული უნდა გამოიგზავნოს: Тифლის, ред. груз. журн. „Ахали Моამბა“
Ивану Спиридовичу Элиашвили.
რედაქტორ-გამომცემელი ნინო ბუფ. ყიფიანისა.

ელისაბედ გვამრიჯვილის პანსიონი წალკაში.
პანსიონი სავანეგობადა მოწყობილი და გარშემორტყმულია ფიქვნარით. პირობების გაგება: წალკერი, ეოსსაბედ მღებრიშვილს.

